№3 (215), 27 აპრილი - 3 მაისი, 2001 წ    პარასკევის გამოშვება    ფასი 30 თეთრი

# ფანტაზია 2001

## საგანგებოდ

### დასურათებული კროსვორდი



1. *იხილეთ ფოტო #1.* 2. უპირატესად ამა თუ იმ პიროვნებისადმი მიძღვნილი **საგანგებო** ნაშრომი. 3. *იხილეთ ფოტო #2.* 4. **საგანგებო** მიზნებისათვის გაწვრთნილ-ნაპატიები იაპონელი ქალი. 5. *იხილეთ ფოტო #3.* 6. ერთ-ერთი სქესის წარმომადგენელი ცხოველი. 7. სმენადამაქვეითებელი მწვანილი. 8. *იხილეთ ფოტო #4.* 9. განვითარების სახეობა. 10. ლეილა აბაშიძის პირველი კინოროლი, რაც თითქოს **საგანგებოდ** მისთვის შეიქმნაო. 11. *იხილეთ ფოტო #5.* 12. სივრცეში გადაადგილების სახეობა. 13. **საგანგებო** ინსტრუმენტი. 14. ჩვენი განედების მღრღნელი. 15. (......) სანჩესი, ახლო წარსულის მექსიკელი ფეხბურთელი. 16. ცენტრალური ამერიკის სახელმწიფო. 17. სივრცეში წყლის მოძრავი მცირე მასა. 18. ყველაზე ცნობილი კოჯრელი პერსონაჟი. 19. *იხილეთ ფოტო #6.* 20. **საგანგებო** პერსონაჟი თენგიზ არჩვაძის კინოგალერეიდან. 21. **საგანგებოდ** სკანდინაველ ქალებში გავრცელებული სახელი. 22. *იხილეთ ფოტო #7.* 23. სიმებიან მუს. ინსტრუმენტზე დამკვრელი. 24. „ხედვის" ბოლოსართი. 25. *იხილეთ ფოტო #8.* 26. იგივე წვეულება, ანუ რა? 27. ვახტანგ გორგასალის ვაჟი. 28. *იხილეთ ფოტო #9.* 29. მუსიკალური ინსტრუმენტი.






## აფორიზმების ანთოლოგია

**1205**. გაზეთების მესვეურთ საკუთარი თავიც ჭკვიანები ჰგონიათ და ამოსახსნელად გვთავაზობენ კროსვორდებს; ეს იგივეა, ეკლესია, თავისი უკიდურესი წინდახედულებისა გამო, მორწმუნეებს საკუთარ თავშიც ღვთაებრიობის მოძიებას რომ სთავაზობს; ასეა თუ ისე, ერთიც და მეორეც საუკეთესო წამალია იმისათვის, რომ ადამიანი განიკურნოს აკვიატებული აზრების, მრუმე ფიქრების თუ რეფლექსებისაგან - ანუ ყველაზე მძიმე წამებათაგან.

**ანდრე მორუა**

**1206**. **უცნობი ავტორის პოსტულატები**:

1. ყოველ კროსვორდში სამი სიტყვა მაინც უნდა დარჩეს ამოუხსნელი.

2. თუ თქვენ ეს სამი სიტყვა ამოხსენით, ესე იგი სხვა სამი სიტყვა ჩაწერეთ შეცდომით.

3. თუ მამაკაცი ამბობს - „რა სულელური კროსვორდიაო" - ესე იგი ეს კროსვორდი ბოლომდე ამოხსნა მისმა ცოლმა.

**1207**. ეს ტყუილია, თითქოს გაზეთებმა ფიქრს გადაგვაჩვიეს - ისინი ხომ კვლავაც ბეჭდავენ კროსვორდებს?!

**გაბრიელ ლაუბი**















ჩვენი მკითხველების თხოვნით უახლოესი ნომრიდან განვაგრძობთ რუბრიკას ინგლისური ენის შემსწავლელთათვის და, ამჯერად შერჩევით და არა თანამიმდევრობით, შემოგთავაზებთ უილიამ შექსპირის სონეტების ორიგინალურ ინგლისურ ტექსტს, მისი რუსული თარგმანების ვარიანტებს და ახალ ქართულ თარგმანებს.

*ცნობისმოყვარეთათვის*

## გაერო-ს ქვეყნები (გაგრძელება)

127. პაპუა-ახალი გვინეა 10 ოქტომბერი, 1975 წ
128. პარაგვაი 24 ოქტომბერი, 1945 წ
129. პერუ 31 ოქტომბერი, 1945 წ
130.პოლონეთი 24 ოქტომბერი, 1945 წ
131. პორტუგალია 14 დეკემბერი, 1955 წ
132. რუანდა 18 სექტემბერი, 1962 წ
133. რუმინეთი 14 დეკემბერი, 1955 წ
134. რუსეთი 24 ოქტომბერი, 1945 წ
135. საბერძნეთი 25 ოქტომბერი, 1945 წ
136. სალვადორი 24 ოქტომბერი, 1945 წ
137. სამოა 15 დეკემბერი, 1976 წ
138. სამხრეთი აფრიკა 7 ნოემბერი, 1945 წ
139. სან-მარინო 2 მარტი, 1992 წ
140. სან-ტომე და პრინსიპი 16 სექტემბერი, 1975 წ
141. საუდის არაბეთი 24 ოქტომბერი, 1945 წ
142. საფრანგეთი 24 ოქტომბერი, 1945 წ
143. საქართველო 31 ივლისი, 1992 წ
144. სეიშელის კუნძულები 21 სექტემბერი, 1976 წ
145. სენეგალი 28 სექტემბერი, 1960 წ
146. სენტ-ვინსენტი და გრენადინი 16 სექტემბერი, 1980 წ
147. სენტ-კიტსი და ნევისი 23 სექტემბერი, 1983 წ
148. სენტ-ლუსია 18 სექტემბერი, 1979 წ
149. სვაზილენდი 24 სექტემბერი, 1968 წ
150. სიერა-ლეონე 27 სექტემბერი, 1961 წ
152. სინგაპური 21 სექტემბერი, 1965 წ
152. სირიის არაბთა რესპუბლიკა 24 ოქტომბერი, 1945 წ
153. სლოვაკეთი 19 იანვარი, 1993 წ
154. სლოვენია 22 მაისი, 1993 წ
155. სოლომონის კუნძულები 19 სექტემბერი, 1978 წ
156. სომალი 20 სექტემბერი, 1960 წ
157. სომხეთი 2 მარტი, 1992 წ
158. სუდანი 12 ნოემბერი, 1956 წ
159. სურინამი 4 დეკემბერი, 1975 წ
160. ტაილანდი 16 დეკემბერი, 1946 წ
161. ტანზანიის გაერთიანებული რესპუბლიკა 14 დეკემბერი, 1961 წ
162. ტაჯიკეთი 2 მარტი, 1992 წ
163. ტოგო 20 სექტემბერი,1960 წ
164. ტონგა 14 სექტემბერი, 1999 წ
165. ტრინიდადი და ტობაგო 18 სექტემბერი, 1962 წ
166. ტუვალუ 5 სექტემბერი, 2000 წ
167. ტუნისი 12 ნოემბერი, 1956 წ
168. უგანდა 25 ოქტომბერი, 1962 წ
169. უზბეკეთი 2 მარტი, 1992 წ
170. უკრაინა 24 ოქტომბერი, 1945 წ
171. უნგრეთი 14 დეკემბერი, 1955 წ
172. ურუგვაი 18 დეკემბერი, 1945 წ
173. ფილიპინები 24 ოქტომბერი, 1945 წ
174. ფინეთი 14 დეკემბერი, 1955 წ
175. ფიჯი 13 ოქტომბერი, 1970 წ
176. ქუვეითი 14 მაისი, 1963 წ
177. ყაზახეთი 2 მარტი, 1992 წ
178. ყირგიზეთი 2 მარტი, 1992 წ
179. შვედეთი 19 ნოემბერი, 1946 წ
180. შრი-ლანკა 14 დეკემბერი, 1955 წ
181. ჩადი 20 სექტემბერი, 1960 წ
182. ჩეხეთის რესპუბლიკა 19 იანვარი, 1993 წ
183. ჩილე 24 ოქტომბერი, 1945 წ
184. ჩინეთი 24 ოქტომბერი, 1945 წ
185. ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა 20 სექტემბერი, 1960 წ
186. ხორვატია 22 მაისი, 1992 წ
187. ჯიბუტი 20 სექტემბერი, 1977 წ
188. ჰაიტი 25 ოქტომბერი, 1945 წ
189. ჰონდურასი 17 დეკემბერი, 1945 წ

საკონკურსო „მალულაში“ ალჟირის პრეზიდენტის მოხსენიებამ (...და კვლავაც და კვლავაც ჩვენმა და თქვენმა ცნობისმოყვარეობამ!...) მოგვასურვა გაერო-ს ქვეყნების ლიდერთა ვინაობის მოძიება საერთაშორისო საინფორმაციო ქსელში. ვიმედოვნებთ, რომ ამგვარ სიასაც შევქმნით!...


ი/ს **„ფანტაზია-2000“** (ნატალია ბერიკიშვილი) რეგისტრირებულია ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მიერ № 5/1-2304.
ტელ.: 79-53-70, (877) 72-61-18.
**e–mail – sashiko45@ hotmail.com**
გამოდის **ალექსანდრე და ვახტანგ ელერდაშვილების** რედაქტორობით
რედკოლეგია: ირაკლი ნაზღაიძე, გოგა ტარიელაშვილი, გიორგი ვეკუა, ლევან ელერდაშვილი




1. რაიმე სტრუქტურის შემადგენელი ელემენტების თანდათანობითი გადანაცვლება (7). 2. ქალაქი საფრანგეთის აღმოსავლეთ ნაწილში, ზამთრის XVI ოლიმპიური თამაშების მასპინძელი (7). 3. ცნობილი იტალიური გაზეთი, რომლის ჟურნალისტად ერთ დროს ჯანი როდარი გვევლინებოდა (5). 4. წარსულში ცნობილი შვედი ჩოგბურთელი, უიმბლდონის ტურნირის ხუთგზის გამარჯვებული (6) 5. თანამდებობის პირი, ქვეყნის წარმომადგენელი საზღვარგარეთ (3). 6. დაკეპილი ხორცისგან დამზადებული კატლეტი (4). 7. ზღაპრული არსება (6). 8. ნიუ-ჯერსის კლუბში მოასპარეზე რუსი ჰოკეისტი (10). 9. შავიზღვისპირა, ბალნეოლოგიური კურორტი (4). 10. გლუკოზის ნარჩენებისგან წარმოქმნილი პოლისახარიდი (10). 11. სპეციალური, ხმის გამომცემი მოწყობილობა (4). 12. ერთ-ერთი სლავური ანბანი (7). 13. საგარანტიო ნივთი (2). 14. ევროპული ქვეყნის დედაქალაქი (4). 15. არიადნა შენგელაიას ქალიშვილობის გვარი (9). 16. საკონსტიტუციო სასამართლოს შენობის ძველი სახელწოდება (4). 17. XXს. ამერიკელი მწერალი, ფსიქოლოგი (8). 18. დავით აღმაშენებლის დროს საეკლესიო კრების ჩატარების ადგილი (5). 19. მთათა სისტემა ცენტრალურ აზიაში (4). 20. ბულგაკოვისეული ოსტატის სატრფო (2). 21. ენათმეცნიერების ნაწილი, რომელიც შეისწავლის ამა თუ იმ ენის აგებულებას (4). 22. სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი (5). 23. ბიბლიური პერსონაჟი (4). 24. ქიმიური ელემენტი, ატომური მასით 28,086 (5). 25. საშუალო სიმაღლის ხე, ისხამს მოგრძო-მოყვითალო, კურკიან, ტკბილ ნაყოფს (5). 26. მარცვლეულის შესანახი სპეციალური ნაგებობა (4). 27. აქადური და შუმერული ეპოსი (8). 28. ერთგვაროვანი ორგანიზაციების, დაწესებულებების გაერთიანება (4). 29. ერნესტ ჰემინგუეის, რომან „ფიესტა“-ს პერსონაჟი (10). 30. ამურის იარაღი (2). 31. ტიტანი ბერძნულ მითოლოგიაში, ურანოსისა და გეას ვაჟი, რომელსაც რომაულ მითოლოგიაში შეესაბამება სატურნი (6). 32. მოხარშული ხორბალი, თაფლით, ნუშითა და ქიშმიშით შეკაზმული (4). 33. ადამიანის სამართლებრივი მდგომარეობა (5). 34. ინდური მხატვრული ფილმი რაჯ კაპურის მონაწილეობით (6). 35. ქალაქის შემადგენელი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული (3). 36. კაჟიანი თოფის ჩახმახის ნაწილი (6). 37. XXს. ამერიკელი მწერალი, 1962 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი (7). 38. ექსპერიმენტალურად აღმოუჩენელი გრავიტაციული ველის კვანტი, რომლის უძრაობის მასა არის ნული, ხოლო სპინი ორის ტოლია (9). 39. ავსტრალიური წარმოშობის, ჰოლივუდის ვარსკვლავი, უკანასკნელი დროის ყველაზე გახმაურებული განქორწინების მონაწილე (5). 40. ძველ ეგვიპტური ღვთაება,ისიდას ძმა და მეუღლე,გარდაცვლილთა მფარველი (6).

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
| 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
| 21 | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 | 28 | 29 | 30 |
| 31 | 32 | 33 | 34 | 35 | 36 | 37 | 38 | 39 | 40 |

01-30 ქულა - შეუფასებელი
31-70 ქულა - დაბალი შედეგი
71-120 ქულა - საშუალო შედეგი
121-190 ქულა - ოსტატური შედეგი
191-210 ქულა - დიდოსტატის შედეგი!
210-216 ქულა - დიდოსტატის შედეგი!
219 ქულა - გაზეთის კითხვა ბოლოდან არ უნდა დაიწყოთ
*პასუხები მე-18 გვერდზეა*

# „მალულას“ ერთჯერადი ვარიანტი (თქვენი თხოვნით!)


1


2


3


4

1. **იხილეთ ფოტო №1 (სახელი)**. 2. ქართველ მეფეთა ბიზანტიური ტიტული. 3. აფრიკის ქვეყანა. 4. **იხილეთ ფოტო №2 (სახელი)**. 5. ლესლი (......) პოპულარული ამერიკელი კინოკომიკოსი. 6. ტბა ჩრდილოეთ ირანში. 7. წარმოსადეგი, კარგი აღნაგობის, გამოკვეთილი ნაკვთების მქონე ანუ (როგორი მამაკაცი)? 8. ჩვენი კურორტი, სადაც ერთდროს ოლიმპიადის ჩატარებასაც კი აპირებდნენ. 9. **იხილეთ ფოტო №3 (გვარი)**. 10. მარინე (....), მსახიობი. 11. რუკათა კრებული. 12. საფრანგეთის დიდი რევოლუციის მოღვაწე, იაკობინელი. 13. „დიდ წინასწარმეტყველთა“ შორის ერთ-ერთი. 14. **ვინ იმალება ჩარჩოს უკან? (გვარი)** 15. ზევსის დედა. 16. ქალის კოსმეტიკური საშუალება. 17. რა „ტიტული“ მიეკერა ბევრ საბჭოელ ინტელიგენტს გასული საუკუნის 30-იან წლებში კომუნისტურ ხელისუფლებასთან მიმართებაში? 18. სადაური იყო წმინდა ნინო? 19. ბიზანტიის იმპერატორი V-VI საუკუნეებში. 20. აღვირახსნილი ღრეობა. 21. მუსიკოსის ხელსაწყო. 22. ძველებური ტრანსპორტი. 23. ბუვიეს რომანი. 24. გზა, რომლის ორივე მხარეს ხეებია ჩამწკრივებული. 25. მუსლიმანური თემის ლიდერი. 26. კარლსონის საცხოვრებელი ადგილი. 27. ცნობილი ნორვეგიელი კინომსახიობი ქალი, ინგმარ ბერგმანის საყვარელი მსახიობი და შემდგომ მისივე მეუღლე. 28. სახელი პიროვნებისა, რომელსაც ეკუთვნის ცნობილი პიესა „ჭრიჭინა“. 29. **იხილეთ ფოტო №4 (სახელი).** 30. ქალაქი, რომლის „სახელობის“ ბაზარი ერთ-ერთ ჩვენს ინდუსტრიულ ქალაქში ფუნქციონირებს. 31. ტროპიკების კულტურული მცენარე, რომელსაც კარტოფილივით ხარშავენ ან წვავენ. 32. ქალაქი, რომელსაც 1624-1924 წლებში „კრისტიანია“ ერქვა. 33. კომპიუტერის ეკრანი. 34. კაბა, რომელსაც ძველთბილისები „ხაბარდად“ მოიხსენიებდნენ. 35. იტალიური ლიქიორი.

**სანამ „მალულას“ მეორე ტურნირს დავიწყებდეთ, გთავაზობთ ერთჯერად საკროსვორდო შეჯიბრს, რის საშუალებითაც შეგეძლებათ მეორე ტურნირის წინ მოთელვა-გავარჯიშება.**

**მაშ ასე: დაგვირეკეთ შაბათს, 28 აპრილს 12-დან 14 საათამდე და ჩაგვაწერინეთ თქვენი პასუხები.**

**ამჯერად ამ ერთჯერადი „მალულასათვის“ არანაირი პრიზი არ არის დაწესებული და თანაც სხვა წესით ჩატრდება, ანუ: თქვენ თანამიმდევრულად (1-დან 35-მდე) უნდა მოგვახსენოთ პასუხები; უფლება გეძლევათ გამოტოვოთ ორი პასუხი; და თუ ამ ორი გამოტოვების შემდეგ მაინც ვერ მიაღწიეთ 35 კითხვამდე, ჩაგეთვლებათ იმდენი ქულა, რომელ კითხვაზედაც გაჩერდებით (მინუს ორი გამოტოვებული).**

**ჩვენი ტელეფონები იგივეა: 79-53-70, (877) 72-61-18.**

***უკვე დამთავრებული პირველი „მალულას“ შედეგები იხილეთ მე-17 გვერდზე.***



## ჩვენი საერთო გულისტკივილი!

- ამასწინათ ჩვენს მკითხველებთან გვქონდა საუბარი და მათ შემოგვთავაზეს განგვეახლებინა რუბრიკა, სადაც ჩვენს ენაში შემოჭრილ და დაკანონებულ აღმოსავლურ (სპარსულ) ლექსიკაზე ვსაუბრობდით; გარკვეული მოსაზრებების გამო, ჩვენ ეს რუბრიკა შეგნებულად შევაჩერეთ და აღარც ვაპირებდით მასთან დაბრუნებას. როგორც გაირკვა, ამ საკითხს გარკვეული ინტერესი აღუძრავს და, რაკიღა ამგვარი ენობრივი ერთეულების სააშკარაოზე გამოტანა, „ფანტაზიის“ შემქმნელ-მომხმარებელთა შორის, სპარსული ენის ცოდნისა გამო, ალბათ, მხოლოდ ჩვენთვისაა ხელმისაწვდომი, ვასრულებთ „ფანტაზიელთა“ თხოვნას და კვლავაც ვუბრუნდებით ჩვენთვის მეტად მტკივნეულ საკითხს.

- მტკივნეული კი სწორედ რომ *გახლავთ* ეს საკითხი, რადგან ეს, უკვე თითქმის დასრულებული პროცესი აღმოსავლური ლექსიკის გაბატონებისა ჩვენს ენაში, როგორც ჩანს, საფუძველი გახდა იმისა, რომ დაუბრკოლებლად გადმოგვენაგვიანებინა ამჯერად ევროპულ-ამერიკული სამყაროს ბარბარიზმები.

ამასწინათ ერთ-ერთ გაზეთში ამგვარი „მარგალიტი“ (*მარგალიტიც სპარსული სიტყვა*) ამოვიკითხეთ:

.....(მავანი კიკო თუ კოკო) დაბადების დღეს ულოცავს (მავან ქაკოს თუ ქუკოს) და მთელ მის „სასტავს“ და, განსაკუთრებით, მის „ბოიფრენდს“ უსურვებს... (ეს უკვე ჩვენ აღარ გვეხება რასაც და როგორც უსურვებს მის „სასტავს“ და „ბოიფრენდს“)

ჰოდა, ალბათ რაღაც უნდა მოვიმოქმედოთ! მაგრამ - რა?!

უცხო სიტყვების შემოტანის წინააღმდეგნი არასოდეს ვყოფილვართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შემოდის ახალი ცნება და მას თან მოჰყვება შესაბამისი ლექსიკური მარაგი, მაგრამ როდესაც ზრდადასრულებული და ჩამოყალიბებული არსებისაგან მოისმენ - გუშინ „მოშჩნად ვიგულავეო“, უნებლიედ შეიძლება შეუკურთხო იმ კაცს, ვინც პირველად თქვა - გუშინ „ხოშიანად ვიქეიფეო“ („ხოშიც“ და „ქეიფიც“ სპარსული სიტყვებია).

ასე რომ, „სასტავისათვის“, ვინც „იმენა“ აბინძურებს ჩვენს ენას, „მოშჩნად“ ვიწყებთ იმ სპარსული სიტყვების დასახელებას, რომლებიც მათმა წინაპრებმა ქართულ ენაში „პახოდუ“ დააკანონეს.

1. **ააზანა** - აშკარაა, რომ ეს სიტყვა დაკავშირებულია სპარსულ სიტყვასთან „აბ“, რაც წყას ნიშნავს.

2. **აბაზი** - ეს სიტყვა ჩვენში შემოიჭრა ირანის შაჰის აბას I-ის მიერ მოჭრილი 20-ერთეულიანი ფულის გავრცელების გამოისობით.

3. **აბანო** - აქაც აშკარაა სპარსულ „აბ“-თან (წყალი) კავშირი.

4. **აბეზარი** - სიტყვა წარმოდგება „ბეზარ“-ისაგან, რაც თავის მხრივ გაოგნება-გადაღლას ნიშნავს.

5. **აბრუ** - ახლა აღარ იხმარება, მაგრამ ოდესღაც ბევრი ამბობდა „სინდისის“ სანაცვლოდ.

6. **აგური** - სპარსელები ამბობენ „აჯორ“ იმავე მნიშვნელობით.

7. **ავანგი** - ძველად ამბობდნენ თამბაქოს ხმელი ფოთლების ასხმულაზე.

8. **ავანდასტა** - „ჰავან“ ახლაც იხმარება ნაღმსატყორცნის (მინამიოტის) აღსანიშნავად და ზოგადად მძიმე ჭურვს ნიშნავს. „დასთ“ ხელი გახლავთ, მაშ, გამოდის - ხელის ჭურვი“.

9. **ავარა** - სპარსელებისათვისაც უსაქმოდ მოხეტიალე გახლავთ.

10. **აზამბარი** - ღვინის სმაში გათანაბრება შემოსწრებულისა.

11. **აზარფეშა** - ვერცხლის სასმისი.

12. **ალუბალი** - „ალუ“ მრგვალ ნაყოფს ნიშნავს, „ბალი“ მისი დაკონკრეტებაა. („შაფთალუ“, მაგალითად ატამს ნიშნავს სპარსულად).

13. **ალუჩა** - „ალუ“ უკვე განვმარტეთ, „ჩა“ კნინობითი ბოლოსართია (გაიხსენეთ „ბაღჩა“ - პატარა ბაღი, „ჩამჩა“ - პატარა ჯამი).

14. **ამაგდარი** - „ამაგი“ გასაგებია, „დარ“ ბოლოსართია და „მქონეს ნიშნავს“ (მიზან-დარ - მიზნის მქონე).

15. **ამბარი** - ამ სიტყვას „საწყობის“ მნიშვნელობით ახლაც ხმარობენ.

16. **ამხანაგი** - „ჰამ-ხანე“ - თანამოსახლე, ოღონდ მეზობელი კი არა, სახლთან დაახლოებული პირი.

17. **არაქათი** - ნიშნავს „მოძრაობას“; ასე რომ, „არაქათი არ მაქვსო“ რომ ვამბობთ, ჩვენს უმოძრაობას ვადასტურებთ, ხომ? (დასტურიც სპარსული სიტყვაა)

18. **არაყი** - სპარსულად „ოფლს“, ზოგადად სხეულიდან გამოძევებულ სითხეს აღნიშნავს.

19. **ასპარეზი** - აშკარაა, რომ სიტყვა დაკავშირებულია სპარსულ სიტყვასთან „ასბ“, რაც ცხენს ნიშნავს (ასპინძა, მაგალითად, „ცხენების სადგომია“).

20. **აუგი** - საძრახისი.

21. **აუზი** - სპარსელები ამ სიტყვის თავში „ჰ“-ს წარმოთქვამენ.

22. **აფერუმ!** - ყოჩაღ!

23. **აფსუს**! დანანების შორისდებული

- ეს სამეცნიერო ნაშრომი არ გახლავთ და გაზეთის კეთებასთან ერთად, სახელდახელოდ იქმნება, ამიტომ მას სრულყოფილების პრეტენზია არ გააჩნია და არც შეცდომებისგანაა დაზღვეული.

- ჩვენ არ აღვნუსხავთ სპარსული ენის გზით შემოსულ სხვა აღმოსავლურ (არაბულ, თურქულ, მონღოლური, სომხურ) სიტყვებს, რომლებიც ყველა ერთად, ალბათ, ორჯერ აღემატება მხოლოდ სპარსულ ბარბარიზმებს.

თქვენს ყველა შენიშვნას სიამოვნებით მივიღებთ.

**თარაზულად:** 1. საფრანგეთის დიდი რევოლუციის მოღვაწე, რომელიც აბაზანაში გამოასალმა სიცოცხლეს შარლოტა კორდემ. 4. უილიამ შექსპირისეული „ჰამლეტის“ ერთ-ერთი რიგითი პერსონაჟის სახელი. 9. ანტიკური საზეიმო ლირიკის ჟანრი, რომელიც ძველ საბერძნეთში რთველის დროს სრულდებოდა დიონისეს საპატივსაცემოდ. 16. დრამატული ნაწარმოების სახესხვაობა, სადაც თავს იჩენს შინაგანი წინააღმდეგობა პერსონაჟსა და შექმნილ სიტუაციას შორის. 17. თეთრყურძნიანი საღვინე ვაზის ჯიში. 18. ვაჟასეული პერსონაჟი. 21. ბრედ პიტის როლი ჰოლივუდურ ფილმში „შემოდგომის ლეგენდები“. 22. ქმედება, რომელიც რაიმე ფაქტს კანონიერ ძალას ანიჭებს. 23. შერლოკ ჰოლმსის მთავარი მტერი. 26. ბრაზილიის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების ახლანდელი მწვრთნელი. 27. გვარი ბილ გეიტსის უახლოესი მეგობრისა, რომელთან ერთადაც დაარსა მან კომპანია „მაიკროსოფტი“ და რომელიც ახლა ერთ-ერთი უმდიდრესი და გავლენიანი პირია მსოფლიოში. 28. ქალაქის შემადგენელი ნაწილი. 29. თანამედროვე არგენტინელი ფეხბურთელი. 30. ვინ არის უოლტ დისნეისეული სკრუჯ მაკ-დაკი თავისი არსით? 35. ვალში დატოვებული ნივთი. 36. დაბა ბორჯომის რაიონში მდინარე გუჯარეთისწყლის ნაპირზე. 37. საბჭოეთის ეპოქაში მოღვაწე რუსი კომპოზიტორი, ავტორი ოპერებისა „ცხვირი“ და „კატერინა იზმაილოვა“. 42. მიახაილ ლერმონტოვის ოთხმოქმედებიანი დრამა. 43. მწერის განვითარების ერთ-ერთი სტადია. 44. გახეხილი ნუშისაგან, ნიგვზისაგან ან გარგარის გულისაგან დამზადებული ცომისებური მასა. 49. გვარი სარაევოელი სტუდენტისა, რომელმაც 1914 წლის 26 ივნისს, მოკლა რა ავსტრიის ერც-ჰერცოგი ფერდინანდი, პირველი მსოფლიო ომის დაწყების მიზეზი შეიქნა. 50. ნაწარმოები, რომელიც თითქმის ყოველთვის იწყება სიტყვებით – „მე დავიბადე...“. 51. სადაური ქალი ესროდა ქლიავებს მეფე ერეკლეს? 54. სპორტული შეჯიბრების ცალკეული მონაკვეთი. 55. თავაშვებული ღრეობა. 56. ეკონომიკური ტერმინი, რომელიც საქართველოს მთელმა მოსახლეობამ იცის ჩვენი ეკონომისტების წყალობით. 57. „ბარსელონას“ მეკარე (იმედია მიხვდით რომელ სპორტზეა ბაასი). 61. მამასახლისის ხელქვეითი და სოფლის მოხელე მეფის რუსეთისდროინდელ საქართველოში. 62. სადაური კეთილი ადამიანის შესახებ მოგვითხრო ბერტოლტ ბრეჰტმა? 63. სომხეთის ფეხბურთელთა გუნდი, რომელიც საბჭოთა კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის პირველ ლიგაში გამოდიოდა. 64. რა ჰქვია დავით კლდიაშვილისეულ ქამუშაძეს? 69. ასე ვთქვათ, სქელი და უხეში ქაღალდის სახესხვაობა. 70. რა ეწოდება ბჰაგავატგიტას შემადგენელ თითოეულ სტრიქონს, ანუ რა ჰქვია ასეთი პარამეტრების მქონე სალექსო ფორმას? 71. სიტყვა, რომელიც მიიღება ორი ძველ ბერძნული სიტყვის, ქალაქის და მკურნალობის, შეერთების გზით. 76. მუსიკალური ტერმინი, რომელიც იხმარება საზოგადოებაში თავის დაჭერის დასახასიათებლად. 77. პოლონური წარმოშობის მოჭადრაკე, რომელსაც ემანუელ ლასკერმა „საჭადრაკო სამყაროს ჰომეროსი“ უწოდა. 78. როგორც ამბობენ ჩინელები ამ სითხეს „უკვდავების წყალს“ უწოდებენ, საერთოდ კი ამ სითხეს პირდაპირი კავშირი აქვს ღვინოსთან... რა იგულისხმება? 79. ერთ-ერთი ურჩხული ძველი ბერძნული მითოლოგიისა, რომლის სისხლიან კლანჭებსაც დაუსხლტა მახვილგონიერი ოდისევსი. 84. ვინ იყო სამხატვრო მიმდინარეობით ინგლისელი მხატვარი დანტე გაბრიელ როსეტი? 85. ბიბლიური პერსონაჟი. 86. ვედურ მითოლოგიაში ჭექა-ქუხილისა და ქარიშხლის ღმერთი. 87. წამალზე დასადები რამ. 91. ყელზე ჩამოსაკიდი რამ. 92. რა ჰქვია შენობას გამოფენაზე, სადაც გამოსაფენი ექსპონატებია წარმოდგენილი? 93. ჯეიმს კუკის გემიც და ერთ-ერთი სპეის-შატლის სახეწლწოდებაც. 97. რა ერქვა ახალგაზრდა ვერთერის სატრფოს? 98. XVIII-XIX საუკუნეების ფრანგული ახალგაზრდობის თავშესაქცევი ცეკვა. 99. თარგმნეთ ინგლისურიდან ქართულად სიტყვა **performance** თეატრალური ტერმინოლოგიით. 100. ათოსის მსახური. 105. ნივთი, რომლითაც ესმერალდამ და დედამისმა ერთმანეთი იპოვეს ვიქტო ჰიუგოს „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში“. 106. ელიზა დულიტლის გრამატიკის მასწავლებლს გვარი. 107. რა ერქვა შერლოკ ჰოლმსის ძმას, კლუბ „დიოგენის“ ხელმძღვანელს? 112. ნეფტალი რეიეს ი ბასუალტოს ფსევდონიმი, 1971 წლის ნობელის პრემიის ლაურეატისა ლიტერატურაში. 113. დამაარსებელი და სულისჩამდგმელი „წითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაციისა“. 114. ისტორიული რეგიონი თანამედროვე პორტუგალიის ადგილას. 115. პერსონაჟი ფილმისა „ნინო“. 119. 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი. 120. პლანეტა სატურნის ძველქართული სახელწოდება. 121. ძვ. პალესტინის, სირიისა და ფინიკიის აღმნიშვნელი ზოგადი სახელწოდება, რომელიც ბიბლიაშიც კია მოხსენიებული. 122. ერთხელ და სამუდამოდ მიღებული გაცვეთილი შაბლონი. 126. უილიამ შექსპირისეული „ქარიშხლის“ პერსონაჟი. 127. გაგიჟებული ვაჭარი მხატვრულ ფილმ „ლონდრეში“. 128. ყაზახეთის ტერიტორიაზე მდებარე კოსმოდრომი. 129. საზოგადოებრივი სახე. 135. საქართველოს უშიშრიების კომიტეტის თავმჯდომარე საბჭოეთის ეპოქაში. 136. როგორი გზით გადაეცემა ყვავილის ვირუსი? 137. რა ეწოდებოდა ფეოდალის ადგილ-მამულს ფეოდალურ ხანაში? 141. ჰოლივუდელი მსახიობი და კინორეჟისორი, ჯონ... მთავარი როლის შემსრულებელი რომან პოლანსკის ფილმში „როზმარის ჩვილი“. 142. გემი, რომლითაც იმოგზაურა ჩარლზ რობერტ დარვინმა. 143. ინგლისელი მწერლის, ჯონ ფაულზის რომანი. 144. თანამედროვე რუმინელი ფეხბურთელი. 145. მტევანფარფლიანთა ქვეკლასის წარმომადგენელი, რომელიც ამომწყდარი ეგონათ ცარცული პერიოდის შემდეგ, თუმცა 1938 წელს დაიჭირეს ინდოეთის ოკეანის წყლის აუზში. 146. ქუთაისელთა შესახებ შექმნილი ანეკდოტების მთავარი პერსონაჟი. 147. საზოგადოებრივი კვების ობიექტი რუსთაველის გამზირის ცენტრში.

**შვეულად:** 1. ერთწლოვანი ბალახი, რომლის სამეცნიერო დასახელებაც თურმე **Polygonum aviculare** ყოფილა. 2. სიცოცხლის აღდგენა, ანუ რა? 3. ჩარლზ დიკენსისეული ყმაწვილის გვარი. 5. სახელი ამერიკელი სპორტსმენის (ამერიკელი ფეხბურთი) სიმპსონისა, რომელმაც მოკლა საკუთარი მეუღლე და რომლის სახელიც დღესდღეობით ცოლისმკვლელის მეტსახელად იქცა. 6. მდინარე ციმბირში, რომლის სახელი ევენკების ენაზე ნიშნავს „დიდ წყალს“. 7. ფრანგი ფიზიკოსი, გიიომ... (1663-1705). 8. ქალაქი გერმანიაში, საქსონიის მიწაზე. 10. შეხედულება, ანუ რა? 11. სისხლნაკლებობა, ანუ რა? 12. „დათა თუთაშხიას“ პერსონაჟი. 13. ფრანგი დრამატურგი, ფრანგული კლასიციზმის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი. 14. ვინ იყო ალბერტ აინშტაინიც და მაჰატმა განდიც... ანუ რა ეწოდება ადამიანს, რომელიც ყოველგვარი ომის მოწინააღმდეგეა. 15. შატილის მცხოვრები. 19. სპილენძის ფუძეზე დამზადებული შენადნობი, რომლის ძირითადი დანამატია თუთია. 20. ქალაქი სამხრეთ პოლონეთში. 24. შინაური ფრინველი, რომელიც ლოყლოყებს. 25. ვატიკანის სახელმწიფო წყობილება. 31. არბიტრი 1981 წლის 13 მაისს გამართული ლეგენდარული მატჩისა. 32. რუსული ენის განმარტებითი ლექსიკონის ერთ-ერთი შემქმნელი. 33. კუნძული ინდოეთის ოკეანეში,მასკარენის არქიპელაგის შემადგენლობაში. 34. ნადირთმფარველი ღვთაება ქართულ მითოლოგიაში. 38. ხილისგან დამზადებული სასმელი. 39. სატვირთო გემის კაპიტანი. 40. ქართველი საბავშვო მწერალი, ავტორი პოემებისა: „სოციალისტურ დიად კახეთში“ და „ჯაჭვის ხიდი“. 41. უსიამოვნო შემთხვევა. 45. დროის გარკვეულ მონაკვეთში გამოყოფილი შარდის რაოდენობა. 46. რუსი მწერალი, ავტორი საბჭოთა მზვერავებისადმი მიძღვნილი რომანისა „ფარი და მახვილი“. 47. ამბროზ გვინეტ ბირსის აზრით - „ნაძირალების პირველი თავშესაფარი“, ინგლისელი ლექსიკოგრაფის სემუელ ჯონსონის თქმით კი - „ნაძირალების უკანასკნელი თავშესაფარი“. 48. მახვილგონიერი იდალგოს, დონ კიხოტ ლამანჩელის სატრანსპორტო საშუალება. 52. ქართველ მთიელთა სიმღერა. 53. გვარი აისედორასი, რომლის გულისთვისაც, როგორც ამბობენ, თავი მოიკლა სერგეი ესენინმა. 58. ჩრდილოეთ საფრანგეთის ისტორიული რეგიონი, რომელმაც სახელწოდება მისცა არტეზიულ ჭას. 59. რაიმე წერილობითი დოკუმენტის მეორე ცალი. 60. ცნობილი შოტლანდიელი მათემატიკოსი, კოლინ... (1698-1740). 65. რა ერქვა ჰიტლერისეული გერმანიის საიდუმლო პოლიციას? 66. რა ჰქვია ლინგვისტიკაში, რაიმე ბგერის სასისმიერ ბგერად გადაქცევას. 67. ქალაქი ირანში. 68. როგორი სახლი აღწერა ჰაინრიხ ბიოლმა თავის რომანში? 72. ადამიანის გონებრივი შესაძლებლობების განმსაზღვრელი ფაქტორი. 73. ქალაქ ცხინვალის ძველი სახელი. 74. რა ეწოდება შენობის მთავარ ფასადს არქიტექტურაში. 75. რკინიგზის სადგურში ლიანდაგის გასწვრივ მოწყობილი ბაქანი. 80. ფაშისტური გერმანიის მიერ შექმნილი I-ლი საკონცენტრაციო ბანაკი. 81. სელევკიდების დინასტიის ერთ-ერთი თვალსაჩინო და ყველაზე გავლენიანი წარმომადგენელი, რომელმაც თავისი ზეობის დროს თითქმის მთელი წინა აზია დაიპყრო. 82. მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში. 83. ფრანგი ასტრონმი, რომელმაც პირველად მოახდინა გალაქტიკების კლასიფიკაცია. 88. რა ერქვა ჰიტლერული გერმანიის „შურისძიების იარაღს“ - რაკეტას. 89. მკურნალობა ჩასუნთქვით. 90. უმაღლესი ხელისუფლების დადგენილება რაიმე ცალკეულ საკითხზე. 94. „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვების“ ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი. 95. სახელწოდება, რომელიც რომაელებმა აჩუქეს დიდ ბრიტანეთს. 96. რა ეწოდება „ტიტანიკის“და მისთანათა მსგავს მაღალბიუჯეტიან ფილმებს ჰოლივუდში. 101. წარსულში ცნობილი უძლიერესი ავსტრიელი ავტომრბოლელი, ნიკი... 102. სამხრეთ კორეული წარმოების მსუბუქი ავტომობილი. 103. რა ეწოდება ზოოპარკში ცხოველის გალიის მიმდებარე ტერიტორიას. 104. საქართველოს ტელევიზიის „საკაიფო გადაცემა“. 108. ქალაქი რუსეთში მდინარე ენისეის ნაპირას. 109. სოფელი ახმეტის რაიონშიც და მყინვარი თუშეთშიც. 110. რუსი ჰოკეისტის პაველ ბურეს სატრფო, თანამედროვე რუსი ჩოგბურთელი. 111. სუბტროპიკული მარადმწვანე ხეხილოვანი მცენარე ციტრუსოვანთა გვარისა. 116. დაშაქრული ნუშის გული. 117. ის, რასაც ეძებდა ოთარაანთ ქვრივიც. 118. რა არის განლაგებული აშშ-ში კანავერალის კონცხზე, ფლორიდის ნახევარკუნძულზე. 123. წარსულში ცნობილი რუსი სპორტული ტელეკომენტატორი. 124. ჟან რასინის ტრაგედია. 125. ერთ-ერთი რუსი დეკაბრისტთაგანი. 130. ყურე საფრანგეთის ნაპირებთან. 131. XX საუკუნეში მოღვაწე ინგლისელი მწერალი, ავტორი ფანტასტიური რომანისა „ო, ეს საკვირველი ახალი მსოფლიო“. 132. ჯარისკაცის ერთ-ერთი სტატუსი. 133. გერმანელი კონსტრუქტორის გვარი, რომელიც თითქმის ყველას ახსენდება „მერსედესის“ ხსენებისას. 134. მუსლიმანთა საღვთო ქალაქთაგანი. 138. ვულკანი კუნძულ სიცილიაზე, რომელიც დაადგა ურჩხულ ტიფონის გვამს ზევსმა ძველ ბერძნულ მითოლოგიაში. 139. ანგელინასაგან გულდაწყვეტილი მამრი. 140. ირმების ჯოგი.

**შეადგინა ვახო ელერდაშვილმა**



## საკროსვორდო ენციკლოპედია

**ბგარდვანი** - სოფელი გუდაუთის რ
**ბგერა** - დრეკადი გარემოს ნაწილაკების რხევის შედეგად მიღებული ტალღა.
**ბგერათამრთმევი** - იგივე ადაპტერი.
**ბგერათმონაცვლეობა** (ალტერნაცია) - ბგერების კანონზომიერი შენაცვლება სიტყვის ერთი და იმავე ნიშნადი ნაწილის შემადგენლობაში.
**ბგერწერა** - პოეზიაში მხატვრული ხერხი, საგნისა თუ მოვლენის ბგერითი დახასიათება.
**ბდელასებრნი** - ტკიპების ოჯახი ტრომბიდოფორმული ტკიპების ქვერიგისა.
**ბდღვირი** - ჰაერში დამდგარი დიდი მტვერი.
**ბდღვრიალი** - ძლიერი ნათება.
**ბე** - თანხის ნაწილი, რომელსაც წინასწარ იხდიან.
**ბე** - რუსული თვითმფრინავების მარკა.
**ბეავარი** - ქალაქი დას. ინდოეთში.
**ბეარი** ემანუელ - ფრანგი კინომსახიობი ქალი.
**ბეარნი** - ისტ. ოლქი საფრანგეთში.
**ბეატიფიკაცია** - კათოლიკურ ეკლესიაშია წმინდანად შერაცხვა.
**ბეატრისი** - ქალაქი აშშ-ს ნებრასკას შტატში.
**ბეატრიქსი** - ნიდერლანდის დედოფალი 1980 წლიდან.
**ბებელი** ავგუსტ - გერმანიისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის მოღვაწე.
**ბებერა** - აბურცული წყალჩამდგარი კანი ხელზე.
**ბებერასოკო** - ქუდიანი სოკო ბოლეტუსისებრთა ოჯახისა.
**ბებერი** - მოხუცი.
**ბებერიკლდე** - მთა საგარეჯოს რ, გომბორის ქედზე.
**ბებესირი** - ტბათა ჯგუფი აფხაზეთში.
**ბებია** - დედის ამ მამის დედა.
**ბებიაქალი** - ბავშვის ამქმელი. მეანი ქალი.
**ბებიულა** - მდინარე ქობულეთის რ
**ბებიჯი** ჩარლზ - XIX ს ინგლ. მათემატიკოსი და გამომგონებელი.
**ბებკი** - ძონძის ნაკერები.
**ბებლი** - გრძნების მოქმედი (საბა).
**ბებნისი** - სოფელი ქარელის რ
**ბებრისკონკა** - მცენარეთა გვარი ტუჩოსანთა ოჯახისა.
**ბებრისციხე** - შუა სს ციხე-სიმაგრე მცხეთის ჩრდილოეთით.
**ბებრისჭიპაა** - ერთწლოვანი მცენარე ჯვაროსანთა ოჯახისა.
**ბებრუცანა** - ბებერი.
**ბებრუხანა** - ბებერი.
**ბებუთი** - დიდი, მოხრილი უკეცი დანა.
**ბებუთოვი** (ბებუთაშვილი) დავით - XIX ს რუსეთის არმიის გენ.-ლეიტენანტი
**ბებურიანი** - სოფელი ლაგოდეხის რ
**ბებურიშვილი** პაპა - ერეკლე II-ის თანამებრძოლი, კახელი თავადიშვილი.
**ბეგალიშვილი** ბადრი - მუსიკალური კომედიის თეატრის მსახიობი.
**ბეგარა** - გადასახადის სახესხვაობა.
**ბეგთარი** - იგივე ბექთარი.
**ბეგი** - 1) კაშხალის, მიწაყრილის, არხის ან კარიერის ფერდობზე გაკეთებული საფეხური. 2) მიწის ვიწრო ზოლი. 3) დიდკაცობის ტიტული ახლო აღმოსავლეთში.
**ბეგიაური** - ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარე.
**ბეგიაური** - სოფელი ჭიათურასთან.
**ბეგინაჟი** - ბელგასა და ნიდერლანდში მარტოხელა ქალების მონასტერი.
**ბეგინი** მენახემ - 1977-83 წწ ისრაელის პრემიერ-მინისტრი.
**ბეგიჩევის** კუნძულები - კუნძულები ლაპტევების ზღვის სამხრეთით.
**ბეგლარბეგი** - ტიტული და თანამდებობა ოსმალეთის იმპერიაში.
**ბეგლარი** - სოფელი მარნეულის რ
**ბეგონია** - ერთ ან მრავალწლოვანი ბალახოვანი ან ბუჩქოვანი მცენარე.
**ბეგქონდარა** - მცენარეთა გვარი ტუჩოსანთა ოჯახისა.
**ბედა** ლეონიდ - სსრკ ორგზის გმირი, ავიაციის გენ.--მაიორი.
**ბედა** ღირსი - VII-VIII სს ინგლისელი მემატიანე, თეოლოგი.
**ბედასლი** - უფხო, უხეირო, უუნარო.
**ბედაური** - კარგი მარბენალი, წვივმაგარი ცხენი.
**ბედეკერი** - სპეც. ცნობარი მოგზაურებისა და ტურისტებისათვის.
**ბედენა** - _არაფერი ბედენაა,_ არაფერი განსხვავებაა.
**ბედენის** ქედი - მდინარეების ალგეთისა და ქციის წყალგამყოფი.
**ბედვარსონი** - XX ს ისლანდიელი პოეტი.
**ბედი** - განგება, სვე, ხვედრი.
**ბედია** - სოფ. გალის რ
**ბედიანი** - დაბა წალკის რ
**ბედიე** ჟოზეფ შარლ მარი - XIX-XX სს ფრანგი ფილოლოგი, ლექსიკოგრაფი.
**ბედიის** მონასტერი - X-XI სს ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი ოჩამჩირის რ
**ბედითი** - ბედუკუღმართი.
**ბედილი** აბუ ლ-მაალი მირზა აბდ ალ-ყადირ - XVII-XVIII სს სპარსულენოვანი ინდოელი პოეტი.
**ბედისკვერი** - საახალწლოდ ვისამე სახელზე გამომცხვარი კვერი.
**ბედისმწერლიშვილები** - XVII ს ქართველი კალიგრაფები: იასე, ფარემუზი და ნათანაილი.
**ბედისწერა** - ბედის წინასწარ განსაზღვრულობა.
**ბედკრული** - უბედური.
**ბედლამი** - სულით ავადმყოფთა სახლის სახელი ლონდონში; საგიჟეთი.
**ბედლენდი** - მიწათმოქმედებისათვის გამოუსადეგარი რელიეფი.
**ბედნი** დემიან - XX ს რუსი პოეტი.
**ბედნიერება** - დიდი სიხარულისა და სრული კმაყოფილების განცდა.
**ბედნიერი** - კარგი ბედის მქონე.
**ბედობა** - 2 იანვარი.
**ბედოვლათი** - უყაირათო, უხეირო.
**ბედონი** - სოფელი დუშეთის რ
**ბედუინები** - მომთაბარე არაბი მესაქონლეები.
**ბედუკუღმართი** - ბედშავი, უბედური.
**ბედფორდი** ჯონ პლანტაგენეტ - XV ს ინგლისელი სახ. მოღვაწე, ჰერცოგი.
**ბედფორდი** - ქალაქი ინგლისში.
**ბედფორდშირი** - საგრაფო ინგლისში.
**ბედშავი** - ბედკრული.
**ბეერ-შევა** - ქალაქი ისრაელში.
**ბევერიჯი** უილიამ ჰენრი - XX ს ინგლ. ეკონომისტი, სახ. მოღვაწე.
**ბევინი** ერნესტ - XX ს ინგლ. პოლიტ. მოღვაწე, ლეიბორისტთა პარტიის ლიდერი.
**ბევკი** ფრინცე - XX ს სლოვენი მწერალი.
**ბევრეთი** - სოფელი მცხეთის რ
**ბევრი** - დიდი ოდენობის.
**ბევსტროგანოვი** - ხორცის წვრილი ნაჭრებისაგან მომზადებული სოუსიანი საჭმელი.
**ბეზაკლო** - სოფელი დმანისის რ
**ბეზანსონი** - ქალაქი აღმ. საფრანგეთში.
**ბეზბოროდკო** ალექსანდრე - XVIII ს რუსი სახ. მოღვაწე, წარმოშობით კაზაკი.
**ბეზე** - ათქვეფილი ცილისა და შაქრისაგან დამზადებული მსუბუქი ნამცხვარი.
**ბეზეკი** - ელვარე (საბა).
**ბეზინგი** (ულუჩირანი) - ხეობის ტიპის მყინვარი კავკასიონის ჩრდ. კალთაზე.
**ბეზი** თეოდორ დე - XVII-XVIII სს ფრანგი თეოლოგი და მწერალი.
**ბეზიე** - ქალაქი სამხრ. საფრანგეთში.
**ბეზიკი** - ბანქოს ძველებური ფრანგული თამაში.
**ბეზიმენსკი** ალექსანდრე - XX ს რუსი პოეტი.
**ბეზმეინი** - ქალაქი თურქმენეთში.
**ბეზმენი** - იგივეა, რაც ცალსასწორი.
**ბეზოარი** - ცხოველის ბალნის ან მცენარის ბოჭკოსაგან მკვრივად მოთელილი წარმონაქმნები.
**ბეზრედკა** ალექსანდრე - რუსი მიკრობიოლოგი.
**ბეზრუჩი** პეტრ - XIX-XX სს ჩეხი პოეტი.
**ბეზუ** ეტიენ - XVIII ს ფრანგი მათემატიკოსი.
**ბეთაბი** აბდულჰაყ სუფი - XX ს ავღანელი პოეტი.
**ბეთანია** - XII-XIII სს ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი თბილისის სამხრ.-დასავლეთით.
**ბეთე** ჰანს ალბრეხტ - XX ს გერმან. ფიზიკოს-თეორიტიკოსი.
**ბეთელჰეიზე** (ალფა ორიონისა) - ნახევრად წესიერი ცვლებადი ვარსკვლავი.
**ბეთლევი** - სოფელი ამბროლაურის რ
**ბეთლემი** - ქრისტეს დაბადების ადგილი.
**ბეთლემი** - გამოქვაბული ხევში (ყაზბეგის რ).
**ბეთლემი** - სოფელი სენაკის რ
**ბეთლენი** გაბორ - XVII ს ტრანსილვანიის მთავარი, უნგრეთის მეფე.
**ბეთლიჰემი** - ქალაქი აშშ-ს პენსილვანიის შტატში.
**ბეთჰოვენი** ლუდვიგ ვან - XVIII-XIX სს დიდი გერმანელი კომპოზიტორი.
**ბეი** - იგივე ბეგი (3).
**ბეიათლი** იაჰია ქემალ - XX ს თურქი პოეტი და სახ. მოღვაწე.
**ბეიბუთოვი** რაშიდ - აზერბაიჯანელი მომღერალი, ლირიკული ტენორი, დაიბადა თბილისში.
**ბეიდევინდი** - აფრიანი გემის კურსი შემხვედრ-გვერდითი ქარის მიმართ.
**ბეიერენი** აბრაჰამ ვან - XVII ს ჰოლანდიელი ფერმწერი.
**ბეიერინკი** მარტინ - ჰოლანდიელი ბოტანიკოს-მიკრობიოლოგი.
**ბეიზი** ტომას - XVIII ს ინგლ. მათემატიკოსი.
**ბეითალი** - ვეტერინარი.
**ბეითალმანი** ქონება - ქონება გარდაცვლილისა, რომელსაც არ დარჩენია მემკვიდრეები.
**ბეითარაფჩი** - სოფელი მარნეულის რ
**ბეითაუნი** - ქალაქი აშშ-ს ტეხასის შტატში.
**ბეითი** - აღმოსავლური სალექსო ფორმა, ორსტრიქონედი.
**ბეით-ლაჰმი** - ქალაქი იორდანიაში.
**ბეიკერზფილდი** - ქალაქი აშშ-ს დას. ნაწილში.
**ბეიკერი** - მერილინ მონროს ნამდვილი გვარი.
**ბეიკერი** სემიუელ უაიტ - XIX ს ინგლ. მოგზაური და მკვლევარი.
**ბეიკერი** ჯეიმზ - 1989-92 წწ აშშ-ს სახელმწიფო მდივანი.
**ბეიკერი** ჩესნი - ამერიკელი ჯაზმენი.
**ბეიკერ-სტრიტი** - ქუჩა ლონდონში, სადაც შერლოკ ჰოლმსი ცხოვრობდა.
**ბეილე-ერკულანი** - კურორტი რუმინეთში.
**ბეილი** პიერ - XVII-XVIII სს ფრანგი ფილოსოფოსი.
**ბეილი** ანრი - სტენდალის ნამდვილი გვარი.
**ბეილისი** უილიამ მედოკ - XIX-XX სს ინგლ. ფიზიოლოგი.
**ბეინექსი** ჟან ჟაკ - ფრანგი კინორეჟისორი.
**ბეინიმი** მაიკლ - XIX ს ირლანდიელი მწერალი.
**ბეინიტი** - აუსტენიტის შუალედური გარდაქმნის შედეგად წარმოქმნილი ფოლადის სტრუქტურა.
**ბეიონი** - ქალაქი აშშ-ს ნიუ-ჯერზის შტატში.
**ბეირა** - ქალაქი მოზამბიკში.
**ბეირა-ბაიშა** - პორტუგალიის პროვინცია.
**ბეირუთი** - ლიბანის რესპ. დედაქალაქი.
**ბეისბოლი** - სპორტული თამაში ბურთითა და ტაფელით.

_ბ- 1199, სულ - 5521_

## ქალის საიდუმლო



| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ა | მ | ტ | | | | | | ხ | ე | ფ | მ | თ | ვ |
| შ | ი | ლ | | | | | | მ | ა | რ | ტ | რ | ა |
| ა | შ | უ | | | | | | ძ | ი | მ | ა | ე | გ |
| ლ | ა | ხ | | | | | | უ | ლ | ო | პ | რ | ო |
| ტ | რ | ა | | | | | | ს | ტ | ბ | ო | ი | მ |
| მ | კ | ბ | ე | ნ | უ | დ | ც | ნ | ა | ა | ე | ლ | ა |
| პ | ა | რ | ა | ხ | გ | | | ო | ც | კ | ლ | ა | მ |
| ო | მ | ე | ჩ | რ | ი | | | კ | ი | ა | ფ | გ | ო |
| მ | პ | ა | ი | ა | ნ | პ | ა | პ | ა | ნ | ი | რ | ა |
| ა | ს | დ | უ | ვ | ე | კ | ო | ა | ნ | ა | ა | ი | ფ |
| რ | ვ | ძ | რ | ყ | ი | მ | ლ | ს | ს | დ | ი | ნ | ი |
| ა | ს | ე | ი | ნ | ი | გ | ო | კ | უ | ნ | რ | ა | ა |
| ფ | პ | ს | ი | ა | ი | ი | დ | ი | რ | ო | დ | მ | ნ |
| ა | ე | ნ | ლ | უ | შ | ა | უ | რ | ი | ტ | ა | ო | ი |
| ნ | ი | ლ | ე | ა | ი | ნ | ე | ი | რ | ო | ჩ | ფ | მ |

1. რა ვერ შეაჩერებს ქალს, თუ „გაიწია“ (სად? - არა აქვს მნიშვნელობა). 2. ქალთა ავადმყოფური სქესობრივი ლტოლვა (ვისადმი? - თავად განსაზღვრეთ). 3. ბუნებრივი მოვლენა, რასაც ხშირად იმიზეზებს საყვარელი (_ქალი_) საყვარლისაგან (_კაცისაგან_) ფულის გამოსაძალავად (_...და თვალის ასახვევად შეიძლება №9-შიც წავიდეს_). 4. მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე ვერაგი და ყველაზე ტიტულოვანი ქალი, რომელიც პროფესიით (_ისევე როგორც ბევრი სხვა)_ „საყვარელი“ იყო. 5. რა სძულდა ბატონ შოთას ქალებთან მიმართებაში? (რომელ შოთას? - თავად გაიხსენეთ) 6. „მაგიური სიტყვა“, რასაც ქალი არაფრის დიდებით არ იტყვის, სანამ მართლა არ იგრძნობს (რას? - თავად ვერ ხვდებით?!). 7. _ესპანეთში_ ასაკოვანი ქალი, დიდგვაროვანი ქალწულის აღმზრდელი, რომელსაც სულ თან დასდევს. 8. სომერსეტ მოემს აქვს შესანიშნავი რომანი - „მთვარე და (.......)“ - სადაც ქალის ბუნება მთლად ხელისგულზეა გადმოშლილი. 9. ცნება, რომელიც მაინცადამაინც ქალებს დაუკავშირდა, არადა, სინამდვილეში რჩევა-დარიგებასთანაა დაკავშირებული. 10. რენტგენოლოგიური კვლევა ქალის სხეულის იმ ზედა ნაწილისა, რომელიც ჩვენ თეთრი უჯრების მიღმა საგულდაგულოდ დავმალეთ (_იხილეთ ფოტო_). 11. ციური სხეული, რომლის დროით მონაცვლეობასთანაც ქალის სხეულში მიმდინარე ერთი სპეციფიური მოვლენაა დაკავშირებული (რა? - თავადაც კარგად მოგეხსენებათ. 12. ქალის სპეციფიური სამოსი, რაც ასევე პარიზის ერთ ცნობილ კაფეს დაენათლა. 13. ქალის სპეციფიური სამოსი, რაც ყველას რუსული ჰგონია, არადა, წმინდაწყლის სპარსული სიტყვაა და ნიშნავს - „თავიდან ფეხებამდე“. 14. მამაკაცთა ხელთმოსაგდები იარაღი იმ ქალებისა, რომელნიც „საყვარლის“ პროფესიას წარმატებით ეუფლებიან.
15. _არსებობს ასეთი ანეკდოტი:_
- საყვარელმა (კაცმა) საყვარელი (ქალი) მაიმუნის გალიასთან მიიყვანა; ჯერ მხარი გაუშიშვლა (ქალს), მერე ფეხის ნაწილიც გამოუჩინა (...ქალს) და მაიმუნი (მამრი) შესაბამის კონდიციამდე რომ გააღიზიანა, გააღო გალიის კარი და ქალი შეაგდო შიგნით; თან მიაძახა - ახლა მაგას უთხარი „თავი მტკივა და ხასიათზე არ ვარო“ (_თუმცა ჩვენ „ქალის ბედი გალიაში“ კი არა, მაიმუნის ჯიში გვაინტერესებს_).
16. რეჟისორი ფილმისა „ქალი და მამაკაცი“. 17. კიდევ ერთი პროფესიონალი „საყვარელი“ მადამი, რომლის გამოც ლუი XV სულ „გადამრიე, გადამრიეს“ მღეროდა (ქართული საიდან იცოდა? - თავად დაადგინეთ). 18. ეროსი მანჯგალაძის ერთი ტელეპერსონაჟისათვის საყვარელი შემადგენელი ნაწილი ქალის გარდერობისა. 19. მხოლოდ ქალების სამედიცინო დარგი. 20. აფხაზი მწერალი, ავტორი რომანისა „ქალის ღირსება“. 21. როგორი პრობლემები წამოიჭრება იმ კაცის წინაშე, რომელიც, საყვარლის კაპრიზებისა გამო, გაკოტრების პირას მივა (როგორი კაცია? - ჩვენი სწავლება არ გჭირდებათ!).

**სპეციალურად თქვენთვის ქალთა საიდუმლოებებზე ისაუბრა ალ.ელერდაშვილმა**

# ყველაზე პოპულარული შოუ

## ანუ როგორ მოვიპოვოთ სიმდიდრე ჩვენი განსწავლულობით?

- ბრიტანეთის პრესის ისტორიაში ორად ორჯერ მოხდა, როცა პოპულარული გაზეთების „**The Times**“-ის და „**The Mirror**“-ის პირველი გვერდი სრულად დაეთმო ამა თუ იმ პიროვნებას - პირველი გახლდათ მარგარეტ ტეტჩერი, როცა იგი გადადგა, მეორე კი პრინცესა დაიანა, როცა იგი პაპარაცების მსხვერპლი შეიქნა; სულ ახლახანს კი დაფიქსირდა ასეთი მესამე შემთხვევა, როცა ჯუდიტ კეპელმა პოპულარულ შოუში „ვის უნდა გახდეს მილიონერი“ 1 მილიონი გირვანქა სტერლინგი მოიგო. იგი აღმოჩნდა დიდ ბრიტანეთში პირველი და მსოფლიოში მეშვიდე ადამიანი, რომელმაც ამგვარ გადაცემაში მაქსიმალურ შედეგს მიაღწია.

- ამ პროგრამის შემქმნელად ითვლება ბრიტანელი რადიოპროდიუსერი დევის ბრიგსი, რომელმაც 1995 წელს კომპანია „**Celador Productions**“-ს შესთავაზა დიდი ფულადი პრიზის მქონე გადაცემის მოგონება. 1996 წლის თებერვალში პროგრამის კონცეფცია შეიქმნა და 1998 წლის სექტემბერში ეთერში გავიდა პირველი გადაცემა. ამჟამად ვიქტორინა მსოფლიოს 31 ქვეყანაში მოქმედებს და ყველაზე პოპულარულ არასაინფორმაციო გადაცემად ითვლება. ყველა ქვეყნის შოუ ერთმანეთის იდენტურია როგორც სტუდიის გაფორმების, ასევე მუსიკალური ჩანრთების და თვით წამყვანთა ქცევის თვალსაზრისით.

- დიდ ბრიტანეთში ამ პროგრამამ პიკს 1999 წლის იანვარში მიაღწია, როცა დაფიქსირდა, რომ ერთ-ერთ რიგით შოუს თვალს ადევნებდა 17,5 მილიონი ადამიანი. თანდათანობით ამ გადაცემის პოპულარობამ დაბლა დაიწია კითხვების სირთულისა გამო, ვიდრე 121-ე პროგრამაში არ გამოჩნდა ჯუდიტ კეპელი. ეს 50 წლის ქალბატონი საოცრად ადვილად გაუმკლავდა საწყის კითხვებს. შემდეგ დარბაზის დახმარებით 16 000 გირვანქა სტერლინგი მოიგო; 64 000-ზე მან კომპიუტერის დახმარება გამოიყენა, 125 000-ზე მეგობარ ქალს დაურეკა, რომელმაც უშეცდომოდ უკარნახა შექსპირისეული ფრაზის დასასრული. ბრიტანელთა გასაოცრად საგრძნობლად ადვილი აღმოჩნდა დამამთავრებელი კითხვა, რაც ამ ქვეყნის ყველასათვის ცნობილ ფაქტს შეეხებოდა და ჯუდიტმაც დაუყოვნებლივ შეარჩია საჭირო ვარიანტი და ამ დროს წამყვანმა დაიწყო თავისი ტრადიციული - „დარწმუნებული ხართ?“ - „ფულს ხომ არ წაიღებდით?“ - შემდეგ ჩაირთო ხანგრძლივი რეკლამა და, როცა დაძაბულობამ პიკს მიაღწია, გამოცხადდა პირველი პრიტანელი ტელემილიონერის სახელი, რომელსაც მთელი კვირის განმავლობაში დღეში სამჯერ უწევდნენ რეკლამას „ **ITV**“- ს არხზე.

- ამერიკელები ამ თამაშში მოგვიანებით ჩაერთნენ, თუმცა აქაური მილიონერების რიცხვმა უკვე ექვსს მიაღწია. რა თქმა უნდა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ამერიკელები ბრიტანელებზე ჭკვიანები არიან. უბრალოდ ამ ქვეყანაში არავინ დაინტერესდებოდა იმგვარი პროგრამით, რომლის მონაწილესაც მოგების ყველა იმედი გადაწურული აქვს. ამიტომაცაა, რომ ინგლისური ვარიანტისაგან განსხვავებით, აშშ-ში შედარებით ადვილ კითხვებს უსვამენ კონკურსანტებს.

- ერთ-ერთი ტელემილიონერის, ჯორჯიის შტატის ქალაქ გეის მკვიდრის „ბობ ჰაუსის გამარჯვების ფაქტი კი სასამართლოსაც გადაეცა განსახილველად. 1 მილიონიანი კითხვა ასეთი შინაარსის იყო - „ჩამოთვლილთაგან ვისი სახელი არ აქვს მიკუთვნებული ქიმიურ ელემენტს: ა) ალბერტ აინშტაინი; ბ) ნილს ბორი; გ) ისააკ ნიუტონი: დ) ენრიკო ფერმი“. თვით რიგითმა ადამიანმაც კარგად იცის, რომ ისააკ ნიუტონის გარდა, რომელიც ვარდნის პროცესში მყოფ ვაშლებს აკვირდებოდა, სამი დანარჩენი მეცნიერი რადიოაქტიურობის სფეროსაც იკვლევდა; ბობი ჰაუსისათვის კი ამგვარი კითხვა ადვილზე ადვილი აღმოჩნდა, რადგან იგი („პახოდუ“) ფიზიკის მასწავლებელიც გახლდათ. ამ ფაქტმა მოთმინებიდან გამოიყვანა სადაზღვევო კომპანია „**Lloyd's of London**“, რომელიც, კონტრაქტის თანახმად, ვალდებული იყო მოგებული თანხა გაეცა. საქმე იმაშია, რომ ტელეკომპანია ამ სადაზღვევო ორგანიზაციას შეპირდა, რომ კითხვები არ იქნებოდა ძალზედ ადვილი, მოთამაშენი კი არ იქნებოდნენ ძალზედ ჭკვიანები. ერთი სიტყვით, ბრიტანელმა დამზღვევებმა სასამართლოში უჩივლეს ამერიკულ ტელეკომპანიას! ჯერ საქმის განხილვა არ დაწყებულა, სარჩელის შეტანის შემდეგ კი კიდევ ორმა ამერიკელმა მოიგო მილიონი დოლარი.

*(დასასრული შემდეგ ნომერში)*

**პუბლიკაცია მომზადდა ამერიკულ-რუსული ინტერნეტული ჟურნალის „კურიერ-ექსპრესის“-ის მასალების მიხედვით**

# თავსატეხი

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 18 | | 25 | | 25 | | | | 15 | | 7 | | 29 | |
| 19 | 2 | 3 | 27 | 25 | 6 | 4 | | 9 | 4 | 27 | 28 | 3 | 4 | 25 |
| | 23 | | 28 | | 12 | | 15 | | 28 | | 5 | | 6 | |
ის დღე სხვა თავგადასავლების გარეშე დასრულდა. მოსაღამოვდა და ჩვენ ჰორიზონტს იქით ჩამავალი გიგანტური ბეტელჰეიზეს ჭვრეტით ვტკბებოდით; ადამიანურ წარმოსახვას არ ძალუძს წარმოიდგინოს ამაზე უფრო ფანტასტიური და გრანდიოზული სანახაობა. ამის შემდეგ კი ვიგრძენით, რომ ჩვენს ირგვლივ რაღაც შეიცვალა. ჯუნგლები იდუმალი ხმებითა და შრიალით აივსო. ჩვენ გვეჩვენებოდა, რომ შეუცნობი არსებები ხშირი ტყიდან გვითვალვალებდენ. თუმცა იმ ღამემ მშვიდობიანად ჩაიარა, ჩვენ კატარღაში ჩავიკეტეთ და დილამდე რიგრიგობით ვმორიგეობდით. განთიადზე თვალთვალის არასასიამოვნო შეგრძნება უფრო გაძლიერდა, მე მომეჩვენა კიდეც, რომ ტყიდან მოკლე, წივილნარევი ხმები ისმოდა, ისეთი, რაც წინადღეს ნოვასაგან გავიგონეთ. ჩვენ ეჭვი გვღრღნიდა, რომ ტყეში უცნაური არსებები იმალებოდნენ, თუმცა არცერთი მათგანი არ დაგვინახავს.

მცირე ხნის შემდეგ გადავწყვიტეთ, კვლავ წავსულიყავით ჩანჩქერისაკენ. მთელი გზის მანძილზე ჩვენ ცხადად ვგრძნობდით, რომ გამუდმებით გვითვალთვალებდნენ, მაგრამ სააშკაროზე გამოსვლა არავის დაუპირებია.

- მაგრამ გუშინ ნოვა ხომ უშიშრად დაგვენახა?! ალბათ მათ ჩვენი ჩაცმულობა აშინებს - ჩაილაპარაკა არტურ ლევენმა და მე გამახსენდა! დიახ, გარკვევით გამახსენდა - ნოვამ ჩვენი საბრალო მაიმუნი რომ დაახრჩო და გაიქცა, უცებ ჩვენს ტანსაცმელთან შედგა, დამფრთხალი კვიცივით შეხტა და თვალს მიეფარა.

- აბა ახლა ვნახოთ! - ვთქვი მე და ჩემს თანამგზავრებს გაშიშვლება შევთავაზე. ჩვენ ასეც მოვიქეცით და კვლავ უდარდელი ჭყუმპალაობა დავიწყეთ ტბაში.

ვბანაობდით და თავს ვიკატუნებდით, რომ იმ არემარეს არ ვადევნევდით თვალს. ამ ნაცადმა ხერხმა სასურველი შედეგი გამოიღო. რამოდენიმე წუთის შემდეგ კლდოვან ნაპირზე ჩვენ დავინახეთ გოგონა, თუმცა მისი იქ ასვლა არ შეგვიმჩნევია. ამჯერად იგი მარტო არ იყო. მის გვერდით იდგა სრულიად შიშველი კაცი, რომელსაც აბსოლუტურად ისეთივე აღნაგობა ჰქონდა, როგორც დედამიწელებს. კაცი უკვე ასაკში იყო შესული, მისი ზოგიერთი ნაკვთი აშკარად ჰგავდა ჩვენი ჩანჩქერის ქალღმერთისას, ამიტომაც ჩავთვალეთ, რომ ისინი მამა-შვილი უნდა ყოფილიყვნენ. კაცი ნოვასავით შეშინებული და დამფრთხალი გვიმზერდა.

თანდათანობით სხვა ადამიანებიც გამოჩნდნენ. მათი რიცხვი საკმაოდ დიდი იყო. ჩვენ კვლავ მოჩვენებით გულგრილობას ვამჟღავნებდით და ვამჩნევდით, რომ ტბის გარშემო ადამიანების რაოდენობა სულ უფრო მატულობდა. ყოველი მათგანი, ქალი თუ კაცი, ადამიანური მოდგმის შესანიშნავ ნიმუშებს წარმოადგენდნენ, ყველას ჩამოქნილი ტანი და მოოქროვილი კანი ჰქონდა. მალე ჩვენ სორორას ბინადართა ალყაში მოვექეცით, ისინი უკიდურესად აღგზნებულნი იყვნენ და სრულ სიჩუმეს წამიერი შეძახილებით არღვევდნენ.



ჩვენ საბრალო ჰექტორის მწარე ხვედრი კარგად გვახსოვდა და ამიტომაც არცთუ უსაფუძვლოდ ვღელავდით. თუმცა იმ ადამიანების ქცევაში აგრესიულობის ნასახიც კი არ ჩანდა. მგონი, ისინი, როგორც წინადღეს ნოვა, ჩვენი საწყალოსნო პროცედურების ცქერით იქცევდნენ თავს.

მცირე ხნის შემდეგ ნოვა, რომელსაც უკვე ჩვენს ძველ ნაცნობად ვთვლიდით, წყალში გადმოეშვა და მას მალე სხვებმაც მიბაძეს. ახლა ადამიანები უკვე წყალში იყვნენ და ჩვენ კვლავ სელაპებივით დავიწყეთ ერთმანეთის გამოდევნება და თამაში. სხვაობა იყო მხოლოდ ის, რომ ამჯერად ჩვენს ირგვლივ ყვინთავდა და ფრუტუნებდა ნოვას მსგავსი თითქმის ოცი არსება, რომელთა უკიდურესად სერიოზული სახე არაფრით ესადაგებოდა მათს ბავშვურ გართობა-თამაშს.

ოციოდე წუთში მე ეს თამაში მომბეზრდა. ნუთუ კოსმოსის ჯურღმულები ბეტელჰეიზემდე იმისათვის გადმოვსერეთ, რომ უგნური არსებებივით გვეჭყუმპალავა?! მე საკუთარი თავის წინაშე შემრცხვა, ჩვენს ბრძენ პროფესორ ანტელს კი, მგონი, მსგავსი პრობლემები არ აწუხებდა და სიამოვნებით განაგრძობდა თამაშს. თუმცა სხვა რა დაგვრჩენოდა? ალბათ, ადვილი წარმოსადგენია, თუ რა სირთულეს წარმოადგენს, კონტაქტი დაამყარო ისეთ არსებასთან, რომელმაც არ იცის, რა არის მეტყველება და რა არის ღიმილი. მიუხედავად ამისა, შევეცადე ამის გაკეთება. მე ჟესტიკულირება დავიწყე და ყოველ ქმედებაში რაღაც აზრს ვდებდი. უკიდურესად კეთილგანწყობილი სახით ვიდებდი მკერდზე ხელებს, ჩინელებივით თავაზიანად ვუხრიდი მათ თავს, საჰაერო კოცნასაც ვუგზავნიდი, მაგრამ ყოველი ჩემი ჟესტი უპასუხოდ დარჩა. გაგების არცერთმა ნაპერწკალმა არ გაიელვა ამ არსებების თვალებში.



ამ პლანეტისკენ ფრენისას ჩვენს წარმოსახვაში იკვეთებოდა ყველა ფორმისა და ზომის არსება, მაგრამ გვწამდა, რომ ნებისმიერ მათგანს ექნებოდა გონება; სორორაზე კი სრულიად საწინააღმდეგოს წავაწყდით: ჩვენ

ვნახეთ ადამიანები, რომლებიც აბსოლუტურად გვგავდნენ ჩვენ გარეგნობით და რომლებსაც, როგორც ჩანს, გონების ნატამალიც კი არ გააჩნდათ. დიახ, სწორედ ამაზე მეტყველებდა ნოვას ცარიელი მზერა, რამაც პირველი შეხვედრისას გამაოგნა. ახლა კი იგივეს ეხედავდი მისი ტომის ყველა სხვა არსების თვალებში - გონების, აზრის, სულის სრულ არარსებობას.

მათ ართობდათ მხოლოდ სულელური თამაში და ყველაზე პრიმიტიული ქმედებანი. მცირე ხნის შემდეგ ჩვენ გადავწყვიტეთ ჩვენი თამაში ოდნავ გაგვეერთულებინა; წელამდე სიღრმის წყალში დავდექით, ერთმანეთს ჩავეჭიდეთ და საბავშვო ბაღის ბავშვებივით მაღლა და დაბლა ვწევდით ხელებს, მაგრამ ამას ყურადღება არავინ მიაქცია. უმეტესი მათგანი უბრალოდ გაგვშორდა, ზოგიერთნი კი ისეთი უიმედოდ ცარიელი მზერით უყურებდნენ ამ ექსპერიმენტს, რომ ჩვენ აღშფოთება ვერ დავმალეთ.



როგორც ჩანს, ჩვენი აღშფოთება საფუძვლიანი აღმოჩნდა და კინაღამ კატასტროფის მიზეზი გახდა. როცა ჩვენ გავიაზრეთ, რომ სამი სოლიდური მამაკცი, რომელთაგან ერთი მსოფლიო მნიშვნელობის პროფესორი იყო, ხელიხელჩაკიდებული ბავშვებივით ერთობიან და ამას ბეტელჰეიზეს დამცინავი მზერა ახლავს თან, ნერვებმა გვიმტყუნეს. იმდენ ხანს ვცდილობდით სერიოზულობის შენარჩუნებას, ამ ოცი წუთის განმავლობაში ისე დაძაბულნი ვიყავით, რომ წამიერად განვიმუხტეთ ამისგან, გიჟებივით დავიწყეთ ხარხარი, მუცლები ხელით გვეჭირა და კრუნჩხვებიც კი დაგვეწყო.

აი, სწორედ ჩვენი გართობის ამ უნებლიე სულელურმა აფეთქებამ გამოიწვია სოროორას ბინადართა საპასუხო რეაქცია, თუმცა არა ისეთი, რასაც ველოდით. ტბაზე თითქოს ქარიშხალი ამოვარდაო! ადამიანები პანიკაში ჩავარდნენ და თვალის დახამხამებაში გაგვშორდნენ. ოროორ წუთში ჩვენ კვლავ მარტონი დავრჩით წყალში. შიშით და მრისხანებით აკანკალებული სოროორელები ტბის მოშორებულ ნაპირზე შეჯგუფდნენ; ერთნი ყურისწამღებად წიოდნენ, მეორენი კი მუქარით იქნევდნენ ხელებს. მათს სახეზე ისეთი აგრესია იკითხებოდა, რომ მე და ლევენმა იარაღს წავატანეთ ხელი. მხოლოდ ბრძენმა ანტელმა შეინარჩუნა სიმშვიდე და ჩურჩულით დაგვარწმუნა, რომ არათუ სროლა არ დაგვეწყო, არამედ იარაღსაც კი არ გავეკარებოდით, სანამ ის ადამიანები ჩვენგან მოშორებით იდგებიან.

ჩვენ მათ მაინც არ ვაშორებდით თვალს და ნელნელა ტანსაცმლის ჩაცმა დავიწყეთ. როგორც კი შარვლები ამოვიცვით, ველურების აღგზნება ისტერიაში გადაიზარდა. როგორც ჩანს, ჩაცმული ადამიანების ხილვა მათთვის აუტანელი იყო. ზოგმა გაქცევით უშველა თავს, ზოგი კი ჩვენსკენ მრისხანედ მოკაუჭებული თითებით გამოეშურა. მე კარაბინი მოვიმარჯვე. საოცარია, მაგრამ ამ უგნურმა არსებებმა თითქოს გაიგესო ჩემი განზრახვის არსი და მაშინვე ტყეს შეაფარეს თავი.

ჩვენ კოსმოსური კატარღისაკენ გავეშურეთ და მთელი გზა კვლავ უსიამოვნო შეგრძნება გვქონდა იმისა, რომ სოროორას ბინადარნი თვალს არ გვაშორებდნენ და კვალდაკვალ მოგვყვებოდნენ.

## მეშვიდე თავი

თავდასხმა იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა, რომ თავდაცვაზე ფიქრიც კი არ დაგვცალდა. ჩვენ უკვე მდელოს ვუახლოვდებოდით, როცა სოროორას ადამიანები მგლის ხროვასავით გამოცვივდნენ ტყიდან და თავს დაგვესხნენ, ვიდრე ჩვენ იარაღის მომარჯვებას მოვასწრებდით.

ყველაზე საინტერესო ამ თავდასხმაში იყო ის, რომ ამგვარი ქმედება ჩვენს წინააღმდეგ არ გახლდათ გამიზნული. მე ეს მაშინვე ვიგრძენი და არც შევმცდარვარ; ინტუიციით იმასაც ვგრძნობდი, რომ არცერთ ჩვენთაგანს საბრალო ჰექტორის ხვედრის გაზიარება არ ემუქრებოდა. სოროორელი ადამიანების იერიშის ობიექტები ვიყავით არა ჩვენ, არამედ ჩვენი ტანსაცმელი და ყველა ის ნივთი, რაც გაგვაჩნდა. წამიერად პირქვე დაგვამხეს და ათიოდე გააფთრებული ადამიანის ხელებმა ჩვენი სამოსის გლეჯა და ზურგჩანთებში არსებული საგნების მსხვრევა დაიწყეს. რაწამს გავიაზრე, თუ რა იწვევდა ველურების რისხვას, მე წინააღმდეგობა შევწყვიტე და საბოლოო ჯამში ორიოდე შემთხვევითი ნაკაწრი დამაჩნდა სხეულზე. ანტელმა და ლევენმაც მომბაძეს და არცერთ მათგანს რაიმე სერიოზული დაზიანება არ მიუღია. მალე ჩვენ დედიშობილანი ვიდექით ჩვენსავით ტიტლიკანა ქალებსა და კაცებს შორის, რომელნიც უკვე სრულიად დამშვიდებულნი გვიმზერდნენ, თუმცა წამითაც არ გვშორდებოდნენ და გაქცევის ყოველგვარ მცდელობას ერთობლივად გვიხშობდნენ.

ტყის პირას უკვე ასიოდე ველურ ადამიანს მოეყარა; ერთნი ჩვენ გვდარაჯობდნენ, მეორენი კი კოსმოსურ კატარღას უვლიდნენ გარს და ცხადად იგრძნობოდა, რომ მის დარბევასაც ისეთივე მრისხანებით ლამობდნენ, რა ულმობლობითაც ჩვენს პირად ნივთებს მოეპყრნენ. მალე ველურები ეძგერნენ კატარღას, ჩვენს თვალწინ უძვირფასესი აპარატურის მსხვრევა დაიწყეს და მაშინღა მივხვდი იმას, რამაც ამ არსებების მთავარი განზრახვა გამოააშკარავა: ამ ადამიანებს აღიზიანებდათ **საგნები**! ყველაფერი ხელოვნურად **გაკეთებული** მათში დაუოკებელ მრისხანებას და ამასთანავე შიშს იწვევდა. რაწამს რაიმე ფორმის მქონე ნივთს მოიგდებდნენ ხელთ, მაშინვე აქუცმაცებდნენ მას, მერე განზე ისროდნენ, თითქოს გავარვარებული რკინა ეპყრათო, და თუ კვლავ უჩნდებოდათ მისი აღების სურვილი, ეს იმ მიზნით კეთდებოდა, რომ საგნის ყველა გამოკვეთილი ფორმა საბოლოოდ დაემახინჯებინათ. ამგვარმა ქმედებამ მანგუსტი გამახსენა, რომელიც გველს დაესხმის ხოლმე თავს, უფრო სწორად კატა, რომელიც ვირთხასთან მართავს გააფთრებულ ბრძოლას და შემდეგ თავის ნახევრადმკვდარ მსხვერპლს კვლავაც საფრთხის შიშით დაჰყურებს ხოლმე. მე სხვა საინტერესო ფაქტიც დავაფიქსირე: ისინი ჩვენ სრულიად შიშველი ხელებით გაგვისწორდნენ და იარაღად უბრალო ჯოხიც კი არ გამოუყენებიათ.

უსასონი და უსუსურნი ვიდექით და ვუმზერდით იმას, თუ როგორ ანადგურებენ სოროორელი ადამიანები ჩვენს კოსმოსურ კატარღას. მალე მათ კატარღის შიგნითაც შეაღწიეს და დაამსხვრიეს ყველაფერი, რაც მათს ხელებს დაექვემდებარა; დალეწეს ყველა სანავიგაციო ხელსაწყო და მათი ნამსხვრევები მთელ არემარეზე მოფინეს. ეს რბევა საკმაო ხანს გაგრძელდა და როცა კატარღისაგან მხოლოდ კარკასი დარჩა, მძარცველებმა თავი ანებეს მას, დაშოშმინდნენ და ჩვენსკენ გამოემართნენ.

მალე ველურებმა მუჯლუგუნებით და ზურგზე ხელების პარტყუნით გვაიძულეს ტყეში შევსულიყავით. ჩვენი მდგომარეობა სულ უფრო მძიმე და სასოწარკვეთილი ხდებოდა. გაძარცვულები, შიშვლები და უიარაღონი სირცხვილით მივდევდით ამ ხროვას და იმის საშუალებაც კი არ გვქონდა, რომ ერთმანეთისთვის რამე გვეთქვა. ყოველგვარი მცდელობა ხმის ამოღებისა ველურებში იმგვარ რისხვას იწვევდა, რომ იძულებულნი გავხდით ხანგრძლივად დავდუმებულიყავით. არადა, გარს ისეთივე ადამიანები გვეხვივნენ, როგორებიც თავად გახლდით?! მათთვის რომ ჩაგვეცვათ, დაგებანათ და დაგვევარცხნათ, დედამიწაზე არც არავინ განარჩევდა სხვათაგან. ყველა ქალი ლამაზი იყო, თუმცა ნოვა მაინც გამოირჩეოდა მათ შორის თავისი თვალისმომჭრელი მშვენიერებით.

ნოვაც იმ ხროვაში ერია, კვალდაკვალ მოგვდევდა და ყოველთვის, როცა ჩემს მიმართ აგრესიულ ქმედას გამოავლენდა რომელიმე ველური, მე ნოვასაკენ ვიხედებოდი, მის თვალებში თანაგრძნობის ხილვას ვცდილობდი და, მგონი, ერთხელ დავინახე კიდეც რაღაც სიბრალულის მაგვარი რამ; ან ეგებ ვცდებოდი კიდეც, რადგან რაწამს ჩვენი თვალები ერთმანეთს ეხლართებოდა, იგი მზერას მარიდებდა და მის სახეზე არაფერი ირეკლებოდა, გარდა გულწრფელი გაოგნებისა.

ჩვენ დიდხანს ვიარეთ ჯუნგლებში; ისე დავიღალეთ, რომ ფეხებს ძლივს მივათრევდი, მთელი სხეული დასერილი მქონდა იმ ეკალ-ბარდებში ძრომიალით, რომელთა მიღმა სოროორელები მცირეოდენი ნაკაწრის გარეშე ახერხებდნენ გავლას. ჩემი ამხანაგები არანაკლებ იყვნენ დაღლილნი და დალილავებულნი. პროფესორი ანტელი უკვე ყოველ ნაბიჯზე ბორძიკობდა; როცა ბოლოსდაბოლოს ამ უგნური სრბოლის დამათავრებელ პუნქტს მივაღწიეთ, ტყე გამეჩხერდა, მალე ბუჩქნარი მაღალი ბალახით დაფარულმა მდელომ შეცვალა; აქ კი ჯგანების თავი ჩვენმა მასპინძლებმა და, თითქოს გადაავიწყდათო ჩვენი არსებობა, ხეების ტოტებზე კვლავ დაუწყეს ერთმანეთს დევნა... როგორც ჩანს, სწორედ ეს გახლდათ მათი ერთადერთი გართობა ცხოვრებაში. ჩვენ კი დაღლილობისაგან ძირს დავეყარენით და ახლაღა მოვახერხეთ თითოოროლა სიტყვა ჩურჩულით გვეთქვა ერთმანეთისთვის.

მე და ლევენი უკიდურესი სასოწარკვეთილებით ვიყავით შეპყრობილნი და ჩვენს ხელმძღვანელს მთელი ფილოსოფიური სიბრძნის მოშველიება დასჭირდა, რათა ოდნავ მაინც გავემხნევებინეთ. უკვე ბინდი იყო ჩამოწოლილი და ჩვენ შეგვეძლო მასპინძლების უყურადღებობით გვესარგებლა და გავქცეულიყავით, მაგრამ სად?! კოსმოსურ კატარღამდე დასაბრუნებელი გზა რომ გვეპოვნა კიდეც, ეს ჩვენ არაფერს მოგვცემდა. უფრო გონივრული იქნებოდა აქ დავრჩენილიყავით და ამ უცნაური არსებების კეთილგანწყობა მოგვეპოვებინა... და, რაც მთავარია, უკვე შიმშილის გრძნობამაც შეგვაწუხა.

წამოვდექით და ინსტინქტურად ტყისკენ გავეშურეთ. სოროორელები კვლავ ერთმანეთს დასდევდნენ და ჩვენსკენ არცკი იხედებოდნენ. ერთადერთი ნოვა იყო, ვისაც, მგონი, არ დავვიწყებოდით. იგი კვალდაკვალ

მოგვდევდა და რაწამს მისკენ გავიხედავდით, მზერას გვარიდებდა. ერთხანს ტყის პირას ვიარეთ და დავადგინეთ, რომ ეს ამ ადამიანების სადგომი იყო, ოღონდ, ნაცვლად ქოხებისა, მათ მიწაზე ან დაბალ ტოტებზე ფიჩხით ჰქონდათ შეკოწიწებული რაღაც ბუდეების მაგვარი, დაახლოებით ისეთები, როგორებსაც დედამიწაზე აფრიკელი მაიმუნები იკეთებენ. ზოგიერთი ბუდე უკვე დაკავებული იყო. ქალები და კაცები დაწყვილებულნი თვლემდნენ, ზოგი მათგანი კი მარტო იწვა მიწაზე და ძაღლივით მოკუნტული მისცემოდა ძილს. უფრო დიდ ბუდეებში მთელი ოჯახები იყო განთავსებული, სადაც საკმაოდ ძლიერ და ლამაზ ბავშვებს, მშობლებთან მიხუტებულებს, უშფოთველად ეძინათ.

თუმცა ამ ინფორმაციის მიღებას არაფრით შეეძლო ჩვენი შიმშილის პრობლემის მოგვარება. მართალია, ერთი ხის ქვეშ შევნიშნეთ ოჯახი, რომელიც ტრაპეზას შესდგომოდა, მაგრამ მათმა საკვებმა ჩვენ ვერაფრით გვანუგეშა. ისინი კბილებითა და ფრჩხილებით, ყოველგვარი სხვა იარაღის გარეშე, რაღაც ირემის მსგავსი დიდი ცხოველის სხეულის ნაწილებს ფლეთდნენ, სისხლიან ნაჭრებს პირისაკენ მიაქანებდნენ, ღეჭავდნენ და დაუღეჭავ ტყავს იქვე უკან ანთხევდნენ. საერთოდ კი, მთელ ამ სადგომში ცეცხლის არსებობის ნასახიც კი არ ჩანდა.



ამგვარმა ღრეობამ ჩვენში გულისრევა გამოიწვია. ამასთანავე ისიც გაირკვა, რომ არავინ აპირებდა ჩვენვის საკვები შემოეთავაზებინა. პირიქით! როგორც კი ორიოდ ნაბიჯზე მივუახლოვდებოდით, საკვებს დახარბებული ადამიანები მრისხანედ გვიღრენდნენ და უკან დახევას გვაიძულებდნენ.

და ისევ ნოვამ გვიხსნა განსაცდელისგან. შესაძლოა, იგი მიხვდა კიდეც, რომ მშივრები ვიყავით, თუმცა ამაში დარწმუნებული არ გახლდით. ნუთუ საერთოდ შეეძლო მას რამის გაგება? არ ვიცი. უფრო სავარაუდოა, რომ თავად ნოვაც მოშიებული იყო; ასეა თუ ისე, ეს ქალბატონი ერთ დიდ ხეს მიუახლოვდა, ხელებით და ფეხებით შემოეჭდო მას და დაბლა განლაგებულ ტოტებამდე აცოცდა. მალე იგი ფოთლებში გაუჩინარდა და უცებ თავს ამ ხის ბანანის მსგავსი ნაყოფი დაგვეყარა. მალე ნოვა ჩამოძვრა ხიდან და, თითქოს გვასწავლისო, ჩვენს თვალწინ ბანანების გაფცქვნას და მირთმევას შეუდგა. მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ ჩვენც მივბაძეთ მას. ნაყოფი საკმაოდ გემრიელი აღმოჩნდა და შიმშილის დაოკებაც შეგვაძლებინა, ნოვა კი უშფოთველად გვიმზერდა და იქვე მდებარე ნაკადულისაკენაც გაგვიძღვა. წყურვილიც მოვიკალით და ღამის გათევაც იქვე დავაპირეთ.

მე ისეთივე ბუდის მოწყობა დავიწყე, როგორიც სორორელებს ჰქონდათ. ნოვა იმდენად დაინტერესდა ჩემი საქმიანობით, რომ მომიახლოვდა და ერთი დიდი ტოტის მოტეხვაშიც დამეხმარა. ამან მე მეტად ამაღელვა არტურ ლევენში კი იმდენად უკმაყოფილო ემოცია აღძრა, რომ იგი იქვე ბალახზე მიეგდო და ზურგი გვაქცია. რაც შეეხება პროფესორ ანტელს, ის უკვე კარგა ხნის ჩაძინებული იყო.

მეც მოვემზადე დასაძინებლად და საამისოდ სარეცელიც გავიმზადე; ნოვა კვლავ თვალს მადევნებდა და როგორც კი დავწექი, თითქოს ყოყმანობსო, ერთხანს მიყურა და შემდეგ ფრთხილი ნაბიჯებით მომიახლოვდა. მე სუნთქვა შემკრა და არ გავნძრეულვარ, რომ არ დამეფრთხო ეს მშვენიერი არსება... და ნოვა გვერდით მომიწვა.

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

# ჩვენი საკროსვორდო ტურნირი მოულოდნელი ფინალით დასრულდა

## „მალულას“ მე-10 ტურის შედეგები

მეათე ტურში, რომელიც შეგნებულად და საგანგებოდ გავართულეთ, მონაწილეობა მიიღო 20-მა მონაწილემ; შედეგები ასეთია:

1. მარინე ხაჩირაშვილი - 24
2. დიანა ვართანიანი - 24
3. ალიკო ალიმბარაშვილი - 24
4. ლილე აქუბარდია - 24
5. ჯაბუ ბოხაშვილი - 24
6. ელეონორა ფურცელაძე - 22
7. თამრიკო დამენია - 22
8. იური გაბრიელიძე - 22
9. მანანა ბუქღულაშვილი - 21
10. ვაჟა პაპუაშვილი - 20
11. ქეთი ბესელია - 19
12. ზურა სესიტაშვილი - 18
13. დავით მაისურაძე - 18
14. გივი გოგოლაშვილი - 14
15. ზაზა ჩეკურიშვილი - 15
16. მაკა კახნიაური - 14
17. ირაკლი გიგაური - 13
18. ეთერ მიქაძე - 12
19. ქეთინო ურუშაძე - 12
20. გიორგი ჩხეიძე - 7

## საბოლოო შედეგები

**1-2. ზაზა ჩეკურიშვილი,**
**ზურა სესიტაშვილი - 103**

**3. იური გაბრიელიძე - 100**
**4. ვაჟა პაპუაშვილი - 99**
**5. თამრიკო დამენია - 98**
**6. მარინა ხაჩირაშვილი - 97**
**7. ლილე აქუბარდია - 97**
**8. ალიკო ალიმბარაშვილი - 94**
**9. მანანა ბუქღულაშვილი - 92**
**10. დავით მაისურაძე - 91**
**11. ელეონორა ფურცელაძე - 86**
**12. მაკა კახნიაური - 85**
**13. დიანა ვართანიანი - 84**
**14. გია გიორგაძე - 83**
**15. ეთერ მიქაძე - 82**
**16. ირაკლი გიგაური - 81**
**17. გიორგი ჩხეიძე - 79**
**18. გივი გოგოლაშვილი - 76**
**19. ჯაბუ ბოხაშვილი 74**
**20. გიგი იაშვილი - 67**
**21. ქეთინო ურუშაძე - 56**
**22. ნუკრი მაისურაძე - 54**
**22. ქეთი ბესელია - 49**
**23. კობა დალაქიშვილი - 49**

- ტურნირი დაძაბულად წარიმართა და ასეთივე ფინიშიც ჰქონდა: პირველი-მეორე ადგილი გაიყვეს ქალაქ სიღნაღის მკვიდრებმა, ზაზა ჩეკურიშვილმა და ზურა სესიტაშვილმა. მობილური ტელეფონის მფლობელის გამოსავლენად კი ჩავატარებთ შიდასასიღნაღო ტურნირს და მის შედეგს გაცნობებთ (ბატონ ზურას და ზაზას ვთხოვთ დაგვიკავშირდნენ).

- მეცამეტე ადგილზე გასულ დიანა ვართანიანს გადაეცემა სამი ვიდეოკასეტა.

- ტურნირი, მიუხედავად გარკვეული ხარვეზებისა, საინტერესოდ წარიმართა და მასში საკმაოდ ძლიერმა კონკურსანტებმა მოიყარეს თავი; ჩვენი მონაწილეები გვთხოვენ, რომ მალევე დავიწყოთ მეორე ტურნირი და ჩვენც ამავე აზრს ვადგავართ, რადგან ზაფხული მოდის და დასვენებაც უნდა მოვასწროთ.

- ახალ ტურნირში მონაწილეობა შეეძლებათ მოშორებული რაიონების მკითხველებსაც; ჩვენ მათს პასუხებს საგანგებოდ გამოყოფილ დროს მივიღებთ.

**«მალულას» მეორე ტურნირი ა.წ. 4 მაისს დაიწყება და 6 ივლისს დასრულდება. მოემზადეთ და ჩაერთეთ ჩვენს პაექრობაში! გისურვებთ წარმატებას!**

## მე-10 ტურის პასუხები მცირე კომენტარით






1. ანჯეი ვაიდა პრაქტიკულად ყველამ გამოიცნო.
2. მორის კორნელიუს ეშერი, მართალია, ენციკლოპედიურ ლიტერატურაში ნაკლებადაა დაფიქსირებული, მაგრამ ჩვენ ერთხელ გვქონდა მასზედ საუბარი და, გარდა ამისა, გადაკვეთების საშუალებით შეიძლებოდა ამ გვარის ამოცნობა.
3. „სპირიჩუელი“ და „სპირიჩუელსი“ - ორივე ვარიანტი არსებობს.
4. „იაგუარი““ არ ითვლება, რადგან იგულისხმებოდა „პუმას“ სახესხვაობა „კუგუარი“.
5. ჩაითვალა „ჯახირიც““ და „ჩალიჩიც“.
6. „აპერკოტი“, „მემორანდუმი“, „ჰენდრიქსი“ და „ჩიხუახუა“ პრაქტიკულად ყველამ გამოიცნო.
7. „ბაჩანი“ კი ასევე მისახვედრი იყო მისი არცთუ რთული გადამკვეთი სიტყვების საშუალებით.
8. ა) რაც შეეხება დამატებით კითხვებს: მიუხედავად სირთულისა, მათი გამოცნობაც შეძლეს ჩვენმა კონკურსანტებმა; „პლეი-მაუნტ“ გახლავთ გერმანული „სპილ-ბერგ““-ის ინგლისური ვარიანტი; „ბ) მეექვსე“ გახლდათ ჩვენთვის კარგად ნაცნობი ექიმი იური სენკევიჩი, რომელსაც წლების განმავლობაში მიყავდა გადაცემა „კინომოგზაურთა კლუბი“.




**თარაზულად**: 1. ევროპის სახელმწიფოს დედაქალაქი. 5. სასულიერო სასწავლებელი. 10. ეპოქა, რომელმაც ევროპული ხელოვნება „იმენნა“ ააღორძინა. 11. გვარი ინგლისელი მეფეებისა, რომლებიც 1485-1603 წლებში სისხლს სწოვდნენ პატიოსან ბრიტანელ მშრომელებს. 12. იტალიელი მოღელიორო თითქმის „სომხური“ გვარით. 13. ქართული ასტრონომიის („იმენნა“) ცენტრი. 15. ბევრი მუსიკალური ინსტრუმენტის ძირითადი შემადგენელი ნაწილი. 16. რა შეიძლება გაახსენდეს კაცს ირანელი ქალის ხსენებაზე. 17. ე.წ. „დედამიწის ჭიპი“ 21. რეინის ქვემოწელში განლაგებული მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი პორტი. 22. გონიერების სიმბოლური სათავსი. 25. ღონისძიება, როცა ყოველმა ჩვენგანმა საკუთარი წილი მიიღო სახელმწიფოსაგან. 27. ქვეცნობიერი ფაქტორი, რაც ადამიანს (თუნდაც!) საწინააღმდეგო სქესის ყურადღების ცენტრში ყოფნას აგრძნობინებს. 29. ქალი, რომელიც 1955 წლის აგვისტოში (...თუ სექტემბერში?!) აბანოებში შევარდნილმა წყალმა გააგიჟა. 31. სურინამის დედაქალაქი. 34. „ბარსელონა“, რივალდო და „კუშები“ რომ კარგად იცით (**არა-მე-„კროკო“-ე** პიროვნებებთან ბოდიშს ვიხდით), ბარსელონას ირგვლივ მდებარე რეგიონს რა ჰქვია ...(თუ გახსოვთ?). 35. წინასწარ გათვლილი ხრიკი. 36. სიტყვა, რომელიც „იმენნა“ არქიმედემ წამოიძახა. 37. საგარანტიო ნივთი. 38. ძმის დამმუნჯებელი გოგონა. 42. (**კინოჩანართი**)

**გიჟუა** - *რაო, რა თქვა კნიაზმა?*

**უსტაბაში** - *ესაო, (......), თქვენი დიდი ხათრი მაქვს, მაგრამ არაო!*

43. მეცნიერი, რომელიც მავნე ორგანიზმებს შეისწავლის. 46. „მეცნიერება“, რითაც ვუპი გოლდბერგმა დემი მური და პატრიკ სუეზი გააბრიყვა ერთ ფილმში. 47. რა ერქვა ბატონ სანდრო ცერცვაძეს მაშინ, როცა ძილის წინ სახურავიდან ჩამოსულ წვიმის წვეთებს უშვერდა ხელს? 48. ჩვენ ძალიან გვინდა, რომ ჩვენი კროსვორდები ქართველი მეკროსვორდეებისათვის იყოს („იმენნა“) რა? 49. (***ამონაწერი ჩვენი საკროსვორდო ენციკლოპედიიდან***) სულის აღუშფოთველობა, სულიერი სიმშვიდე.

**შვეულად**: 1. რამოდენიმე ევროპული ქვეყნის ფულის ერთეული. 2. ძალის საზომი ხელსაწყო. 3. საქართველოს პირველი ბერძენი სიძე. 4. გერმანიის ქალაქი, სადაც მარად ემახსოვრებათ ქართული ფეხბურთის დიდება. 5. ფანტასტიური ფანტაზიის მქონე ამერიკელი კინორეჟისორი. 6. ფრანგი მხატვარი-გრაფიკოსი, ანრი... 7. წყნარ ოკეანის მიკრონეზიაში მდებარე სახელმწიფო. 8. როგორი შეიძლება იყოს პირუტყვი? 9 . კაიფვორდისტი იტყოდა: მეორე სახელი ქვეყნისა, სადაც სჯერათ რამ „ტაბლეტები ლურჯია“ (რუს. კავშ.). 14. („სუპერ“ თუ „მინი“)მარკეტი - კომუნისტობისას. 15. უნიჭიერესი ამერიკელი კინომსახიობი ქალი. 18. რა არის ღუნიბი, ოსოქოლო და მისთანები თავისი არსით? 19. რუსეთის „იმენნა“ ჩრდილოური ქალაქი. 20. გარემოსთან შეგუება. 23. ყალბისმქმნელი. 24. (**კინოჩანართი**) „ლექსი თითოოროლაო, მეც მასწავლე, „(.......)-ო“. 26. ტროპიკული ხილი. 28. რეალურად მომხდარ-არსებული მოვლენა. 30. „ან - ფული, ან - სული“ - რა არის ეს? 32. უძველესი ებრაული რელიგიური თხზულება. 33. სოფელი ყაზბეგის რაიონში. 39. მექსიკაში მოქმედი ვულკანი. 40. ტროას მეფის, პრიამოსის, ვაჟი, რომელმაც ელენე მშვენიერი მოიტაცა. 41. კოლუმბიის დედაქალაქი. 44. სახელმწიფოს აუცილებელი ატრიბუტი. 45. თხრობითიც, ბრძანებითიც, კავშირებითიც...

**შეადგინა („იმენნა“) ალ. ელერდაშვილმა**

## ომარ ხაიამის რობაიები

66. გაზაფხულზე ღრუბელი რომ
პირს ჩამოჰბანს ვარდს და ტიტას,
ღვინო სვი და ეგ ნაღველი მკლავებს აღარ ჩამოგწყვიტავს
დღეს მაგ ბალახს შენ გათელავ,
ხვალ ეგ იტყვის თავის სიტყვას,
როცა შავი სამარიდან შენს ნარჩენებს ამოიტანს.

67
ეს რა დილა გაგვითენდა, მერიქიფევ, ადექ ზეზე,
მასვი ღვინო, წუხელ ღამით, რომ ჩატოვე დოქის ფსკერზე;
მომაწოდე მე ეგ თასი და ვიცოდეთ ამის ფასი!
ამ ერთ ნაღდზე დღეს ვიზრუნოთ, ხვალ კი ყველა დანარჩენზე

68
შავი მიწა, ფეხს რომ ადგამს დღეს ხან ერი და ხან ბერი,
ერთდროს ქალის ბაგე იყო, ვარდისა და ღვინის ფერი;
ეს ლამაზი აგურები, დღეს რომ მორთეს იმით ჭერი,
ან ვეზირის ხელი იყო, ანდა სულთნის თმა და წვერი.

69
მთვრალი კაცის მოძულება შენ არ მოგცემს, ძმაო, ხელს,
ვინც გაკიცხოს ღვინით მთვრალი, ზეზეურად ჩამოხმეს;
ღვინო სვი და ფიქრი კმარა, გინდა სვი და გინდა არა,
ჯოჯოხეთში მიდიხარ და სადღა ნახავ სამოთხეს?!

70
მეჩეთში ნუ იარები და ნუ იღებ ნამაზს ყურად,
გიჯობს მარანს ეწვიო და იქ გამოთვრე ვაჟკაცურად;
სანამ დროა, ღვინო შესვი, შესვი, სანამ შენი ნეშტი
ხან ფიალად გადაზილეს, ხან დოქად და ხანაც სურად.

14

მთარგმნელი ალ.ელერდაშვილი

**ამავე ნომრის „რეიტინგის“ პასუხები (მე- გვ.)**

1. როტაცია 2. ალბერვილი 3. უნიტა 4. ბორგი 5. დიპლომატი 6. შნიცელი 7. გობლინი 8. მოგილნი 9. ანაპა 10. გლიკოგენი 11. კამერტონი 12. გლაგოლიცა 13. გირაო 14. კიევი. 15. შპრინკი. 16. იმელი. 17. კარნეგი. 18. ურბნისი. 19. ალტაი. 20. მარგარიტა. 21. გრამატიკა. 22. ქნარი. 23. ონანა. 24. სილიციუმი. 25. ფშატი. 26. ელევატორი. 27. გილგამეში. 28. ქსელი. 29. მონტოია. 30. ისარი. 31. ქრონოსი. 32. კოლიო. 33. სტატუსი. 34. ავარა. 35. უბანი. 36. კვესი. 37. სტაინბეკი. 38. გრავიტონი. 39. კიდმანი. 40. ოსირისი..

**დიდი მადლობა ყურადღებისათვის, მაგრამ კროსვორდებს ჩვენ თვითონ ვადგენთ და სხვა ძალების შემოშველება ჯერ არ გვჭირდება!**

## ფსევდონიმები

73. **გაალი** ფრანჩესკა - ფანი ზილვერიჩი. უნგრელი მსახიობი ქალი.
74. **გაბენი** ჟან - ჟან-ალექსის მონკორჟე. ფრანგი კინომსახიობი
75. **გავარნი** პოლ - სიულპის გიიომ შევალიე. XIX ს ფრანგი გრაფიკოსი.
76. **გაი** ბადი - ჯორჯ გაი. ამერიკელი ბლიუზის მომღერალი და გიტარისტი.
77. **გაირატი** - აბდურახიმ აბდულაევი. უზბეკი მწერალი.
78. **გაპონი** გიორგი - გაპონ-ნოვიხი. XX ს დასაწ. პოლიტ. მოღვაწე, მღვდელი.
79. **გარბო** გრეტა - გრეტა გუსტაფსონი. ამერიკელი კინომსახიობი.
80. **გარინი** - ნიკოლაი გიორგის ძე მიხაილოვსკი.
81. **გარლანდი** ჯუდი - ფრენსის გამი. ამერიკელი კინომსახიობი, ლაიზა მინელის დედა.
82. **გარტნი** ტიშკა - დმიტრი ჟილუნოვიჩი. ბელორუსი მწერალი.
83. **გასკარი** - პიერ ფურნიე. ფრანგი მწერალი.
84. **გელსტედი** ოტო - ეინარ ეპესენი. დანიელი პოეტი.
85. **გილესპი** დიზი - ჯონ ბერქსი. ამერიკელი ჯაზმენი.
86. **გირლანდაიო** - ტომაზო ბიგორდი. XV ს იტალიელი ფერმწერი.
87. **გოლდი** მაიკლი - ირვინგ გრანიჩი. XX ს ამერიკელი მწერალი.
88. **გოლი** ივან - ისაак ლანგი. XX ს გერმანელ-ფრანგი პოეტი.
89. **გორკი** არშილ - ვოზდანიკ ადოიანი. ამერიკელი სომეხი მხატვარი.
90. **გორკი** მაქსიმ - ალექსეი პეშკოვი. რუსი მწერალი.
91. **გოტხელფი** იერემია - ალბერტ ბიციუსი. XIX ს შვეიცარიელი მწერალი.
92. **გრანვილი** - ჟან ინიას იზიდორ ჟერარი. XIX ს ფრანგი გრაფიკოსი.
93. **გრანტი** კერი - არჩიბალდ ალექსანდრ ლიჩი. აშშ მსახიობი.

(შემდგომი გაგრძელებით)

**გასული ნომრის იაპონური ნახატები**





## მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ფული

23. **კრონა** (=100 ერეს) - შვედეთის ფულის ერთეული.

შემოღებულ იქნა 1873 წელს. მანამდე ბრუნვაში იყო შვედური ვერცხლის რისკდალერი, იგივე შვედური ტალერი, გერმანიის რეიხსტალერის ანალოგიით შექმნილი. სხვათა შორის, XVII საუკუნის ბოლოს შვედეთში მოხდა მოვლენა, რამაც ევროპის კონტინენტზე ფულადი მიმოქცევის თავისებურება ძირფესვიანად შეცვალა. ითვლება, რომ სწორედ ამ ქვეყანაში იქნა შემოღებული პირველი ევროპული ბანკნოტები. ეს შვედმა იუხან პალმსტრუკმა გამოიგონა, რომელმაც მანამდე ექვსი წლის განმავლობაში ნიდერლანდში პატიმრობისას ამ ქვეყნის საბანკო სისტემა შეისწავლა. შვედეთში დაბრუნების შემდეგ 1657 წელს მან მიიღო ნებართვა, რომ მის მიერ ჩამოყალიბებულ სტოკჰოლმის ბანკს საბანკო ბილეთები გამოეშვა. ამჟამად შვედეთში ბრუნვაშია სხვადასხვა სერიის ფულადი ნიშნები, რომელიც შვედეთის ეროვნულ ბანკს 1965 წლის შემდეგ აქვს გამოშვებული - 10, 20, 50, 100, 500, 1000 და 10 000 კრონის ღირებულების, ასევე მონეტები - 1, 5, 10 და 50 ერე.




24. **კრონა** (=100 ცენტს) - ესტონეთის ფულის ერთეული.

შემოღებულ იქნა 1972 წელს. ამ სუვერენულმა ქვეყანამ საბჭოთა კავშირის ყოფილ რესპუბლიკებს შორის პირველმა აღადგინა საკუთარი ვალუტა, რომლის ისტორია საუკუნეთა სიღრმიდან იწყება. რუსეთიდან გამოყოფის შემდეგ 1918 წელს ესტონეთმა აღადგინა თავისი მარკა (=100 პენის). 1928 წელს განხორციელებული ფულადი რეფორმის შემდეგ მარკა კრონამ შეცვალა. ახალ ესტონურ ფულზე გამოსახული იყო ნუმიზმატებისათვის კარგად ცნობილი სამი ლომი. 1940 წლიდან ესტონეთში კრონის პარალელურად საბჭოთა მანეთმაც დაიწყო მოქმედება; სხვათა შორის, თვითმხილველთა გადმოცემით, მაშინ „სავალუტო ეტალონად“ ცნობილი ესტონური კარაქი ითვლებოდა, ანუ ერთი კრონა უდრიდა 10 მანეთს და 2 კგ კარაქს. 1991-92 წლებში დიდ ბრიტანეთში დაიბეჭდა თანამედროვე ესტონური ფული შემდეგი ნომინალებით: 1, 2, 5, 25, 100 და 500 კრონის ღირებულების, 1995 წელს მათ დაემატა ნაკლული 50 კრონიანი კუპიურაც.




25. **კრონა** (=100 ერეს) - ნორვეგიის ფულის ერთეული. ნორვეგიის სამეფოს ფულადი ერთეული შემოღებულ იქნა 1875 წელს მანამდე არსებული სპესიდალერის ნაცვლად. ეს ღონისძიება განხორციელდა ამ ქვეყნის სკანდინავიურ სამონეტო კავშირში გაერთიანებასთან დაკავშირებით; ამ კავშირის მოთხოვნის შესაბამისად კი ნორვეგიის ტერიტორიაზე 1917 წლამდე ადგილობრივ ვალუტასთან ერთად შვედეთის და დანიის ფულადი ნიშნებიც მოქმედებდა. ამჟამად ნორვეგიაში შემდეგი ნომინალის ბანკნოტებია ბრუნვაში: 1000, 500, 100 და 50. ასევე მონეტები: 50, 10 და 5 ერე.




26. **კრონა** (=100 ეირეს) - ისლანდიის ფულის ერთეული. 1994 წლამდე ისლანდიაში სხვა სკანდინავიური ქვეყნების ვალუტა ბრუნავდა, შემდეგ კი შემოღებულ იქნა ისლანდიური კრონა, რომლის ნომინალებია 5 000, 2 000, 1 000 და 500, მონეტები: 100, 50, 10, 5, და 1 კრონა. კრონის გაუფასურებისა გამო ამჟამად ლითონის მონეტები (ეირე) ბრუნვიდან ამოღებულია.

# გასული ნომრის პასუხები

### მე-4 გვერდი

**თარაზულად**: 8. გარინდება. 9. წალკოტი.. 11. ანკარა. 12. ამორძალები. 13. შვრია. 14. სინდი. 15. აგული. 18. ალპინისტი. 20.სამაგრი. 22. ამტი. 24. პირამიდა. 28. ტერნერი. 29. კურნიკოვა. 31. ჰარმონია. 32. ფილიდორი. 33. ატომ. 34. ლომი. 35. ბზარები. **შვეულად**: 1. კარნავალი. 2. ტიტანიკი. 3. ედგარ. 4. აბჯარი. 5. განძი. 6. ეკოლოგია. 7. სტაბილური. 10. ბონდი. 16. ფილიგრანული. 17. სალმონელოზი. 19. ტაპი. 21. ტრიუმფი. 23. მინიმუმი. 25. დეკოდერი. 26. დესანტი. 27. გვირაბი. 30 ნაომი.

### მე-5 გვერდი

**თარაზულად**: 8. შვეიცარია. 9. ფარადეი. 11. რეიკიავიკი. 12. ფინიკი. 13. ციკლონი. 14. აკვალანგი. 16. ბედია. 17. გოიმი. 18. ქვა. 19. მონრო. 23. საიტი. 24. გნუ. 26. ფილმოთეკა. 29. მარსელი. 30. ცეილონი. 32. ავანგარდი. 33. მიუსე. 35. მარსი. 36. სიონი. **შვეულად**: 1. ვარინკა. 2. კამიკაძე. 3. მედიტაცია. 4. ავგია. 5. სილიციუმი. 6. მაშველი. 7. დიაკონოვა. 10 გროგი. 15. კოლტი. 20. რომულუსი. 21. ტანკა. 22. ანასტასია. 25. ალადინი. 27. ათონი. 28. საუნა. 31. კვესი. 34. ჩაი.

### მე-7 გვერდი

1. ქოროღლი. 2. კოპერნიკი. 3. ოტიტი. 4. სარკე. 5. სპირიდონი. 6. შვილები. 7. კოჰორტა. 8. კარპოვი. 9. ტვერი. 10. მარგანეცი. 11. კოლექტივი. 12. დამკვრელი. 13. ელისო. 14. ილონა. 15. პროლოგი. 16. ადობე. 17. ეპოლეტი. 18. ქილვაში. 19. ეკიპი. 20. ასუნსიონი. 21. სვირიდოვა. 22. გლოვა. 23. ქცევა. 24. სადრედინი. 25. ალიბი. 26. სტანდარტი. 27. პასტორალი. 28. ფშატი. 29. სიმურღი. 30. პრევო. 31. ბლატერი. 32. სიტრო. 33. უდაბური. 34. გნოლი. 35. კრება. 36. ანტრე. 37. გუნდარევა. 38. ავანდასტა. 39. უღონობა. 40. პრატერი.



### მე-10 გვერდი

**თარაზულად**: 1. შტაბი. 4. ფრაიბურგი. 8. ხართუმი. 15. ფილარმონია. 16. დინოზავრი. 17. ელვა. 20. ლივანოვი. 21. განდაგანა. 22. მონაკო. 25. ნაზი. 26. ინდიანა. 27. კონტრშეტევა. 31. კრედო. 32. მიკროფონი. 33. ორასი. 38. ჯაგლაგი. 39. მატრიცა. 40. ამიენი. 44. დრაიდენი. 45. ბაუმი. 46. წნორი. 47. ბივა. 51. განა. 52. მოციონი. 53. ზაარბრიუკენი. 56. ბედოვლათი. 57. კასიო. 58. ატრია. 63. ენგური. 64. აზერბაიჯანი. 65. დესაი. 69. ანეტო. 70. ოტული. 71. ოპერატიული. 75. კლიო. 76. პერიკლე. 77. დანტონი. 78. აკმე. 82. სტილისტიკა. 83. გოგრა. 84. შექსპირი. 87. ფანტოცი. 88. მარიუპოლი. 89. პაქტი. 94. ტივი. 95. სტრუგაცკი. 96. დეკოლტე. 100. მილერი. 101. ალენი. 102. ალილუია. 103. არზა. 107. პოდიუმი. 108. ჰოუნი. 109. ბამბაზია. 113. ლამპიონი. 114. სტრუქტურა. 115. არქიფო. 116. ბისაუ. 117. სიცილია. 118. დეტონატორი.**შვეულად**: 2. ტელევიზორი. 3. ბორანი. 5. რაიო. 6. უაილდი. 7. გროსგლოკნერი. 9. აურა. 10. მალთაყვა. 11. აფალინა. 12. სორვინო. 13. ტარნატი. 14. ჰანოი. 18. ლაინერი. 19. მონტესუმა. 23. ვიკინგი. 24. ეშერა. 28. ედუარდი. 29. ეფრაიმი. 30. ბონიფაციუსი. 34. ბულდოგი. 35. გლენ ჰოდლი. 36. სცენარი. 37. პერიგეა. 41. ვაინბერგი. 42. ყაენი. 43. არარატი. 48. სინთეზი. 49. მახინჯი. 50. რუდიმენტი. 54. კოტრანა. 55. სადახლო. 59. ველასკესი. 60. ბრეტელი. 61. კნოპიტი. 62. მანუსკრიპტი. 66. სტრეპტოციტი. 67. ტრანშეა. 68. ფიდელიო. 72. პიპინაშვილი. 73. ცირკი. 74. სატრაპი. 79. კინტო. 80. მორიაკი. 81. ასტარტე. 85. ფარაონი. 86. ალვეოლი. 90. სტიმოროლი. 91. ბუღლამა. 92. პოლიცაი. 93. ესკალატორი. 97. არმორიკა. 98. პლანეტა. 99. კრუზეირო. 104. სიონი. 105. მოდული. 106. იბერია. 110. ამტი. 111. ეტლი. 112. არვე.

### მე-12 გვერდი

**თარაზულად**: 1. ღოღობერიძე. 5. სკოტი. 8. კრიშნა. 13. მამისონი. 14. პასტორალი. 15. ამტი. 18. პრასი. 19. თალგამი. 20. სტიმული. 25. პლენუმი. 26. პროფესორი 30. მაზარინი. 31. სტანიცა. 32. სკალპი. 35. ხეთა. 36. ქრონიკა. 37. ხრამი. 38. შაში. 42. კნორი. 43. ასურეთი. 44. ბლატერი. 49. სახამებელი. 50.ხვადი. 51. ლოქსლი. 54. კავალერი. 55. კოორდინაცია. 58. ინკასაცია. 59. კნუტი. 60. ბეცი. 64. ნერუ. 65. იზოლატორი. 66. კაპრონი. 70. სტალინირი. 71. სტოიციზმი. 75. არსენა. 76. ინტერნეტი. 77. ანბანი. 80. არმან. 81. ქსილოფონი. 82. ოტსი. 86. რომი. 87. ბასმაჩი. 88. ეკონომიკა. 92. გალანტერეა. 93. ბლიცი. 94. არღუნი. 95. ფარია. 96. დისიმილაცია. 97. ჯიპი. **შვეულად:** 1. ღამე. 2. ღამურა. 3. ბესტსელერი. 4. რენო. 5. კატამარანი. 7. ტირე. 9. შამილი. 10. აზია. 11. ბარგი. 12. პლუტოსი. 16. ჩალმა. 17. ამერიკა. 21. ქვემეხი. 22. ანანური. 23. ოფიცერი. 24. მურილიო. 27. მზეთუნახავი. 28. შტეკერი. 29. ალბატროსი.33. ენისელი. 34. ხმალი. 39. ტრამპლინი. 40. მთავარი. 41. ატროფია. 45. ასაკოვანი. 46. ობერჰაუზენი. 47. ადრიანე. 48. ფინიკია. 52. ფორინტი. 53. კასტრაცია. 56. მაკლორენი. 57. ვერნი. 61. ბრუტუსი. 62. ბრიტანელი. 63. ტრუმენი. 67. პლანერი. 68. მისტიფიკაცია. 69. გალისია. 72. ტაგანროგი. 73. ვერსაჩე. 74. სანტაკრუსი. 78. ბატარეა. 79. ინინი. 83. სმალტა. 84. ამპერი. 85. ამირა. 89. ანცი. 90. კლეი. 91. ხიდი.

### მეცამეტე გვერდი



| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ა | 5 | მ | 2 | ღ | 2 |
| ბ | 8 | ნ | 15 | ყ | 18 |
| გ | 2 | ო | 21 | შ | 2 |
| დ | 33 | პ | 14 | ჩ | 10 |
| ე | 3 | ჟ | 31 | ც | 6 |
| ვ | 12 | რ | 4 | ძ | 1 |
| ზ | 7 | ს | 17 | წ | 16 |
| თ | 20 | ტ | 2 | ჭ | 26 |
| ი | 13 | უ | 30 | ხ | 11 |
| კ | 32 | ფ | 29 | ჯ | 9 |
| ლ | 19 | ქ | 23 | ჰ | 25 |

### პირველი გვერდი



### მეორე გვერდი






### მეოცე გვერდი



# ვინ იყო ყველაზე ჭკვიანი 20 აპრილს?

პასუხები: 1. საუთჰემპტონი. 2. თოთხმეტი. 3. ლევინსონი. 4. „სალომეა“. 5. უხელო. 6. ჰურიები. 7. ტაჯიკეთის. 8. სტრეკალოვი. 9. ბლონდი. 10. სერგო ზაქარიაძე. 11. „ესტონია“. 12. ზაალი. 13. კატა. 14. ბობი. 15. მეფუტკრეობა. 16. ვანაძორი. 17. „ლუფტჰანზას“. 18. რაპი. 19. მორისონი (სამივე დანარჩენს ოსკარი ერქვა). 20. ა) შტურმი.

1. თინა ფურცელაძე - **19 ქულა** (გადაეცემა 25 ლარი). 2-3. ნინო მჭედლიძე, ნიკოლოზ დანდლიშვილი - **18 ქულა**. 4-5. ელეონორა ფურცელაძე, ალიკო ალიმბარაშვილი - **16 ქულა**. 6-7. ვაჟა პაპუაშვილი, დიანა ვართანიანი - **15 ქულა**. 8-9. თეა პირველი, გიორგი გვასალია - **14 ქულა**. 10-12. ნუნუ გურგენიძე, ლილე აქუბარდია, ნუკრი მაისურაძე - **13 ქულა**. 13-14. დათო გაგნიძე, გოჩა ლობჟანიძე - **12 ქულა**. 15-16. თეონა თელია, კობა დალაქიშვილი - **10 ქულა**. 17-18. მადონა ხეცაძე, დათო ჭილიტაშვილი - **9 ქულა**. 19. ოთო გიორგაძე - **8 ქულა**. 20. ნათია პაპიაშვილი - **7 ქულა**.

**4 მაისს დაიწყება მორიგი ტურნირი ოთხ ტურად მაისის ყველაზე ჭკვიანი „ფანტაზიელის“ გამოსავლენად.**



ტურნირი ჩატარდება 12 ტურად.თქვენ უნდა ამოიცნოთ სამივე კითხვა, რათა დაიმსახუროთ ტურში

# ალო ფანტაზია

დაწესებული პრემია 10 ლარი (რამოდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში ეს თანხა დანაწილდება). ტურნირის საბოლოო გამარჯვებული დამატებით მიიღებს კიდევ 10 ლარს, ასე რომ, მთელი ტურნირის საპრიზო ფონდი შეადგენს 120+10 ლარს. დაგვირეკეთ შაბათს 18-დან 19 საათსა და 30 წუთამდე ტელეფონებზე 79-53-70 ან 8.77. 72-61-18.

## მერვე ტურის პასუხები და შედეგები

1. ხუთივე შვილი ბიჭია. 2. მონათვაჭრობა. 3. ენა.

მერვე ტურში სამივე კითხვა გამოიცნეს: სოფიკო დუნდუამ, ლელა კომახიძემ და ნადეჟდა ელიზბარაშვილმა. მათ შორის განაწილდება საპრიზო 10 ლარი.

## რვა ტურის შემდეგ

**17** ქულა - ნადეჟდა ელიზბარაშვილი (8,30 ლარი), ვაჟა პაპუაშვილი (10,80 ლარი), მერი მამრიკიშვილი (3,30 ლარი). **16** ქულა - სოფიკო დუნდუა (18,30 ლარი), ზურაბ კიკილაშვილი. **14** ქულა - ანდრო მჭედლიშვილი (10 ლარი), მერაბ წიკლაური (2,50 ლარი), ნიკოლოზ წიქარიშვილი (5 ლარი). **13** ქულა - ლელა კომახიძე (5,30 ლარი)

**11** ქულა - ივანე ბერიანიძე. **10** ქულა - ნოდარ გოქაძე. **9** ქულა - სოლომონ მამუჩიშვილი (2,50), ვახტანგ ნანავა. **8** ქულა - თინათინ ციქურიშვილი (3 ლარი), თამრიკო დამენია (3 ლარი), კობა დალაქიშვილი. **7** ქულა - ნატო მაღლაკელიძე, ნანა მამულაშვილი. **5** - დიანა საღრიშვილი, ალექსი ჯუგაშვილი (3 ლარი), მალხაზ გოგნიაშვილი. **4** - ნიკა სულაბერიძე. **3** - გოჩა ლობჟანიძე, გიორგი გვასალია (2,50), ეკატერინე ტატიშვილი (3,30 ლარი), მადონა ხეცაძე, ვლადიმერ ყაჯრიშვილი. **2** - წერეთელი გიორგი, ნათია ჩუბინიძე, მარინა ივანიშვილი, შალვა გველესიანი, ლილე აქუბარდია, **1** - იოსებ ჯიქია, მალხაზ პეტრიაშვილი, ვალერი პაპიაშვილი.

## მეცხრე ტური (27 აპრილი, შაბათი 18.00-19.30.)

1. ინგლისური „კარგი ტონის“ უცნაურობანი ყველას მოეხსენება, თუმცა XIX საუკუნეში გამოცემულ ერთ საოჯახო წიგნში მათ მართლაც გადამეტებული ზრდილობიანობა გამოავლინეს და თანამემამულეებს მოუწოდებდნენ, რომ წიგნის თაროზე გვერდიგვერდ არ დაედოთ ქალი-ავტორის და მამაკაცი-ავტორის წიგნები, ერთი შემთხვევის გარდა...

**რა შემთხვევაა ეს?**

2. ერთხელ არისტოტელეს ერთი ზედმეტად მოლაყბე ყმაწვილი ეწვია და სთხოვა - ორატორობის ხელოვნება შემასწავლეო. არისტოტელე დასთანხმდა, მაგრამ უთხრა, რომ რაკიღა მას ორი სამუშაოს შესრულება მოუწევდა, შესაბამისად ყმაწვილსაც ორმაგი თანხა უნდა გადაეხადა.

**რა ორი სამუშაო უნდა შეესრულებინა არისტოტელეს?**

3. არითმეტიკული ამოცანა წმინდა ქალური ლოგიკით: „რომ გავთხოვდი, 18 წლის ვიყავი, ჩემი ქმარი კი იყო 30-ის. ახლა ჩემი ქმარი 60 წლისაა...

**რამდენი წლის ვარ მე?“**




